

გაზეთი ბეჭედი „ვერსი“ ერთი

# ვერსი

**ფასი 50 თეთრი**



ორშაბათი

ოთხშაბათი

პარასკევი

№4 (1030) 16 - 18 იანვარი, 2015 წელი

## ახალი ჯარიმები



რა შემთხვევაში გადაიხდის მოქალაქე 5 000-დარიან ჯარმას **გვ. 5**

## კაცობრიობას ახალი დაავადება — სიბრყვიის ვირუსი უბევს




**გვ. 7** მიკროორგანიზმი, რომელიც აქამდე მხოლოდ მწვანე წყადმცენარეებში შეინიშნებოდა, ადამიანის ორგანიზმში მოხვდა — ცვინი ბურუსით იფარება, ადამიანი სუდედდება, ცუდად აბროვნებს და ყველაფერი ავინყდება...

## „ტერორიზმთან ბრძოლის კვალიფიკაცია შესაბამის სამსახურებს აქვთ“



**გვ. 4** რაში აღნაშაუდებს ადექსი პეფრიაშვიდს და რა საფრთხეებზე საუბრობს ექსპერტი მამუკა არეშიძე

## „ოცნება“ ჩემს კანდიდატურას საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის პოსტზე დააყენებს!“



ვინ დაიკავებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობას და რომელი კანონების შეცვლას ითხოვს მერაბ ცურავა **გვ. 3**

## თორღვა გარემოშილის ისტორიკა „ლაფანყურის სპეცოპერაციის“ დროს

როგორ იხდის სასჯელს ქართულ ციხეში უცხოელები, როგორ იყენებდა ბაჩო ახადაია ქისცებს ქიდერებად და რაფომ გაიმეფეს სპეცოპერაციის მონაწილეები



**გვ. 6** **პატრიარქის დღიური**

## დაბა ლიკანში ხუთპარსკვლავიანი „რიქსოს ბორჯომი“ გაიხსნა **გვ. 9**

## „რკინის კეთილი ლეღის“ წარმატება



**გვ. 8-9** რაფომ გაუხსნეს ვარსკვლავი ნაფადის კვანცადიანს და რა სიხდებია „წარმატებულ ახად ქართულ ბრენდად“ აღიარებულ სისხდის ბანკში



# „ოცნება“ ჩემს კანდიდატურას საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის პოსტზე დააყენებს!



გიორგი კვირიკიძე, 599-95-33-16

დაახლოებით ერთ თვეში კონსტიტუციის უფლებამოსილების ვადა შეუწყდება და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტი ვაკანტური გახდება. თუმცა უკვე უამრავი ვერსიაა, ვინ დაიკავებს ამ პოსტს და ვერსიაზე მეტი შეძახილი — პრეზიდენტმა თავმჯდომარის „ოცნებასთან“ შეუთანხმებლად არ უნდა დაასახელოს. საბოლოო სიტყვას მაინც პარლამენტი ამბობს, თუმცა საკანონმდებლო ორგანომ მერაბ ტურავას კანდიდატურა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის პოსტზე უკვე ჩააგდო, უფრო სწორად „ჩაუვარდა“ — ხმები დააკლდათ! „ვერსიას“ სამართლის ექსპერტი და დიდი ალბათობით, საკონსტიტუციო სასამართლოს მომავალი მოსამართლე მერაბ ტურავა ესაუბრება.

## სასწრაფოდ შესაცვლელი ორი კანონი და მიზეზი, რის გამოც პარლამენტი მერაბ ტურავას კანდიდატურა ჩააგდო

— საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე „ოცნების“ ფრაქციამ თქვენი კანდიდატურა წარადგინა, თუმცა საკმარისი ხმები ვერ მოაგროვეთ. ეს იმიტომ ხომ არ მოხდა, რომ თქვენი დანიშნვა უზენაეს სასამართლოში გადაწყდა?

— ჩემმა კანდიდატურამ პარლამენტში 69 ხმა მიიღო, გამსვლელი კი 76 იყო. წლის ბოლო იყო და ვფიქრობ, ეს უფრო მობილიზაციის არქონისა და ხმათა ნაკლებობის გამო მოხდა, ვიდრე სხვა მიზეზით. კანონით შესაძლებელია, პარლამენტი ჩემი კანდიდატურა მეორედაც წარედგინოს. რამდენადაც ვიცი, ეს საკითხი დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. ვიცი, „ოცნებას“ უბრალოდ ხმები დააკლდა და ფრაქცია ჩემი კანდიდატურის დაყენებას ისევ აპირებს. მათი მოსაზრებით, ეს საკითხი საბოლოოდ არ არის ჩავარდნილი.

— თქვენი გვარი იმ სიაში რაღაც ფიგურირებს, ვისაც კულუარულად, უზენაესი სასამართლოს მომავალ თავმჯდომარედ ასახელებენ?

— ეს ჩემს კოლეგებს, იურისტებს სურდათ. თუმცა არა მგონია, ეს სურვილი რეალურად იქცეს.

ჩემი ინფორმაციით, „ოცნება“ ჩემს დასახელებას არა უზენაესი, არამედ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის პოსტზე აპირებს. ზოგადად, კონსტიტუცია ისეა აგებული, მოსამართლეს პოლიტიკური ძალა ირჩევს ამ თანამდებობაზე, თუმცა მისი შემდგომი მოღვაწეობა ამ ძალაზე დამოკიდებული აღარ უნდა იყოს.

— კანონით, მოქმედ დეპუტატებს მოსამართლეობის უფლება თუ აქვთ — ჩამონათვალში ეკა ბესელიას, გედევან ფოფხაძისა და თინა ხიდაშელის გვარებიც ფიგურირებს.

— პირი რომ ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის წარმომადგენელია, პირდაპირ დამაბრკოლებელი გარემოება არ არის; იგი მხოლოდ მას მერე ვალდებულია, ყოველგვარი პარტიული და პოლიტიკური კავშირი განწყვიტოს, რაც პოსტზე დანიშნავს. ეს პრაქტიკა მთელ ევროპაში არსებობს.

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტებაში პარტიები აქტიურად მონაწილეობენ. მესმის, საქართველოს მოსახლეობა ამა თუ იმ პოლიტიკოსის მოსამართლედ გახდომას, შესაძლოა, არ მიესალმოს, მაგრამ კანონში ასეთი შეზღუდვა ნამდვილად არ დევს. ალბათ, მთავარი მაინც პოლიტიკური ნებაა, რომ ხელისუფლებამ გამწვანებულ მოსამართლესთან ყოველგვარი პოლიტიკური და პარტიული კავშირი განწყვიტოს.

— როგორც ეს ნაციონალურმა მოძრაობამ გააკეთა? ამ კუთხით ძალიან ცუდი გამოცდილება გვაქვს და „ოცნების“ სიტყვაზე ნდობის საფუძველიც არ არსებობს!

— მესმის, ასეა, თუმცა თუ ნება არ იქნება, შესაძლოა, თანამდებობაზე პოლიტიკური წარსულის არმქონე ადამიანი დანიშნოს, რომელიც პოლიტიკოსზე მეტად ჩამოეკიდება მთავრობას. ამ პრობლემას მარტო კანონი ვერ მოაგვარებს, თორემ წინა ხელისუფლების დროსაც მშვენიერი კანონები არსებობდა. უბრალოდ, მაშინ ყველა მოსამართლე კანონს კი არა, ზურაბ ადგიშვილს ემორჩილებოდა.

— დღეს როგორაა საქმე?

— ახლა სასამართლო ხელისუფლებაში არ ვარ, მაგრამ ინფორმაციითა და დეკლარაციებით, დღევანდელ მმართველ გუნდს მოსამართლეობაზე უემოციურობის არაფერია ბერკეტი არ გააჩნია. დღეს მოსამართლეებს აღარ ეუბნებიან, ამ გადაწყვეტილებას თუ არ მიიღებ, გაგათავისუფლებენ. შესაძლოა, ასეთი შემთხვევები ცალკეული ადამიანების სისუსტის გამო ხდება და ისინი არასწორ გადაწყვეტილებებს იღებენ, თუმცა ეს უკვე პიროვნების პრობლემაა და არა — სისტემის. ხელისუფლებაში ნაციონალურების ყოფნისას კი, ვინც მათ არ ემორჩილებოდა, რაიმე მექანიზმით, სასამართლო ხელისუფლებიდან აუცილებლად გააძევებდნენ.

— იმის მიუხედავად, რომ კანონში არ წერია, პარლამენ-

ტი პრეზიდენტს პირდაპირ მოუწოდებს, უზენაესი მოსამართლის კანდიდატურა მას შეუთანხმოს — ეს გავლენის მოპოვების მცდელობაზე ხომ არ მიუთითებს?

— ამ კანდიდატურას პრეზიდენტი წარადგენს და პარლამენტი ირჩევს. საპარლამენტო უმრავლესობასთან კონსულტაცია კონსტიტუციას ნამდვილად არ ეწინააღმდეგება, იმის მიუხედავად, რომ კანონის პირდაპირი მოთხოვნა არ არის, თუმცა ეს მთელ მსოფლიოში დაუწერელი კანონია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, პარლამენტმა პრეზიდენტის მიერ წარდგენილი კანდიდატურა ჩააგდოს, პროცესი გაინელოს და ასეთი მნიშვნელოვანი თანამდებობა წლების განმავლობაში ვაკანტური დარჩეს. ამის ასაცილებლად, ნამდვილად პოლიტიკურ ძალასთან კონსულტაცია უნდა გაიმართოს, მით უმეტეს, როცა ეს კანონს სულაც არ ეწინააღმდეგება. თანაც ამ პოსტზე თავმჯდომარეს ბოლოს მაინც პარლამენტი ამტკიცებს. ასეთია მსოფლიოს სამართლებრივი გამოცდილება.

— სასამართლოს რეფორმაზე საუბარი ბოლო 2 წელია აქტუალურია. რა არის მთავარი, რაც დღეს უნდა შეიცვალოს სისტემაში?

— პირველი — სასამართლოს საკასაციო საჩივრის განხილვის რეალური უფლებამოსილება უნდა დაუბრუნდეს! დღეს ასეთი მდგომარეობაა: პირველი ინსტანციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრდება და, ფაქტობრივად, ყველაფერი ამით სრულდება. წლებია, უზენაეს სასამართლოში საკასაციო სამართალწარმოება აღარ არსებობს. მოსამართლეები კი მარტივად წერენ განჩინებას, რომ საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი და არ განიხილავენ. პრაქტიკულად, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები კარგა ხანია უფუნქციოდ არიან. თუმცა ბოლო წლებში, როგორც ვიცი, საკასაციო პალატა, შედარებით, ამოქმედდა. მეორე უდიდესი პრობლემა კი სისხლის სამართლის საპროცესო ახალი კოდექსია, რომელიც 2012 წელს მივიღეთ. ის ბევრ პროგრესულ ნორმას შეიცავს, მაგრამ ისიც ჩაინერა, რომ სისხლის სამართლის პროცესზე მოსამართლეს კითხვის დასმის უფლება არ აქვს. მას მხოლოდ დამაზუსტებელი კითხვის დასმა შეუძლია, ისიც, ორივე მხარის თანხმობის შემთხვევაში. რეალურად, მოსამართლეს დამატებითი კითხვის დასმის უფლება აქვს ჩამორთმეული. ასეთი რამ მსოფლიოს არცერთ განვითარებულ ქვეყანაში არ ხდება. ეს წესი აბსოლუტურად მიუღებელი და სასწრაფოდ შესაცვლელია!

— კი მაგრამ, პარლამენტი სისხლის სამართლის კოდექსში შესატან ცვლილებებს სწორედ ახლა განიხილავს და ამ პაკეტში მსგავსი არაფერი წერია. „ოცნებამ“ ეს აქამდე რატომ არ შეცვალა?

— ჩემთვისაც და ნებისმიერი იურისტისთვისაც ეს აბსოლუტურად მიუღებელი და წარმოუდგენელია. სამწუხაროა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2010 წელს მსგავსი ნორმა საერთოდ შემოიღეს და მის შეცვლას, 2012 წლიდან დღემდე არავინ ფიქრობს. არადა, სასწრაფოდ თუ არ შეიცვალა, მოსამართლეს, ცოტა ხანში, სიტყვის თქმის უფლება აღარ ექნება.

— რაკი ორ სხვადასხვა სასამართლოში მოიაზრებით ვაკანტურ თანამდებობებზე, თქვენთვის სასურველი რომელია?

— ჩემთვის სასურველი საკონსტიტუციო სასამართლოში მოღვაწეობაა — ეს ახალი გამოწვევა იქნება. საქართველოში რამდენიმე ისეთი იდეის წამოყენება შეიძლება, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს ძალისა და გავლენის გაძლიერებას შეუწყობს ხელს. მას უფლებამოსილება უნდა გაეზარდოს, როგორც ეს ევროპის ზოგიერთ ქვეყანაშია და იგი საქართველოსთვის პატარა სტრასბურგის სასამართლო უნდა გახდეს. ამ იდეის წამოყენება, დამუშავება და რეალიზება ჩემთვის უმნიშვნელოვანესია.



## შს-ს ანტიკორუფციულმა სააგენტომ თაღლითობისა და ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვის ფაქტებზე ამიხილეს ნალენჯიხაში მცხოვრები მოქალაქე ნოდარ ჯ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, გამოავლინეს და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით თაღლითობაში დახმარებასა და სამსახურებრივი სიყალბის ფაქტებზე ამიხილეს — ნალენჯიხის გამგებლის წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებელი ლევან ჭანია, ასევე თაღლითობის, სამსახურებრივი სიყალბის ნაქეზების და ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვის ფაქტებზე ამიხილეს ნალენჯიხაში მცხოვრები მოქალაქე ნოდარ ჯ.

გამოძიებით დადგინდა, რომ ნოდარ ჯ.-ს ნაქეზებით, ნალენჯიხის რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელმა ლევან ჭანიამ საგადასახადო სიაზე დაყრდნობით, 2014 წლის 13 ივნისს გასცა ყალბი ცნობა, თითქოსდა ნოდარ ჯ.-ს სახელზე ქალაქ ნალენჯიხაში ირიცხებოდა 0,33 ჰექტარი მიწა. ყალბი ცნობის საფუძველზე, ლევან ჭანიას დახმარებით, ნოდარ ჯ.-მ თავისი და მისი ოჯახის წევრების სახელზე საჯარო რეესტრში დაირეგისტრირა 3216 კვ.მ მიწა, საიდანაც მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მოტყუებით დაუფლავა სახელმწიფოს კუთვნილ 18 887,76 ლარად ღირებულ 2127 კვ.მ მიწის ნაკვეთს. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქ ნალენჯიხაში, ვეკუას ქუჩა 25-ში მდებარე მიწა რეალურად არ წარმოადგენდა ნოდარ ჯ.-ს საკუთრებას, მან ხსენებულ ტერიტორიაზე 2014 წლის მაისის ბოლოდან ივლისამდე პერიოდში უკანონოდ მოჭრა 26 ძირი ხე, რამაც გამოიწვია 10 860 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი. იმისათვის, რომ ხეების მოჭრისათვის მიეცათ კანონიერი სახე, ნოდარ ჯ.-ს ნაქეზებით, ლევან ჭანიამ 2014 წლის 9 ივნისს და 1 ივლისს ყალბი ცნობები გასცა თითქოსდა ხეები მოჭრილი იყო ნოდარ ჯ.-ს საკარმიდამო მიწის ნაკვეთში.

ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებებისათვის ლევან ჭანია და ნოდარ ჯ. მიმდინარე წლის 13 იანვარს მიცემულ იქნენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. გამოძიება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით თაღლითობაში დახმარებასა და სამსახურებრივი სიყალბის, თაღლითობის, სამსახურებრივი სიყალბის ნაქეზების და ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვის ფაქტებზე მიმდინარეობს (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, 341-ე მუხლით და 303-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც სასჯელის სახით 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს). გამოძიებას შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს. *„ვერსიონიუსი“*



## შს-მ განსაკუთრებით დიდი ოლქებით ნარკოტიკი ამოიღო

შს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული ღონისძიების შედეგად, 1978 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევ ნათელა ს. თბილისში, ორთაჭალის ავტოსადგურში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შექენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი და ბავშვის სამგზავრო კალათის ჩხრეკისას 20 აბი „სუბოქსინი“ და 12 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 22,7 გრ პერონინს, 0,5056 გრ კოკაინს და 0,5789 გრ მეტამფეტამინის მარილს შეიცავს.

ნარკოლოგიური შემონმებით დაკავებულს პერონინს, ამფეტამინის, მეტამფეტამინის და კოკაინის მოხმარების ფაქტი დაუდგინდა.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შექენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

*„ვერსიონიუსი“*

# მაშუკა არეშიძე: „პატივმოყვითელის განსხვავებული პანიკისა და ქაოსის საფუძველს ქმნის“



ენიმო კომანძიძე, 599-95-33-16

პარიზული სასაკლავო, ახალ-ახალი ვიდეომუქარა, მესამე მსოფლიო ომის გამოცხადებული ქრონიკა — ბოლო ორი კვირაა, უდავოდ, დაძაბულ რეჟიმში ვცხოვრობთ. თუმცა დამატებითი პანიკის საფუძველს, ხან ობიექტური, ხანაც სუბიექტური განცხადებები იძლევა, მით უმეტეს, თუკი მას წინაინი პოლიტიკურები აკეთებენ. არაერთი ექსპერტისა და კონფლიქტოლოგის კვალდაკვალ, ცოტა ხნის წინ, ოპოზიციაში გადასულმა ექსპრესმენტმა, ალექსანდრე პეტრიავილიმა ერთი მძიმე განცხადება გააკეთა — ქართული სპეცსამსახურები ტერორიზმის აღსაკვეთად მზად არ არიან, რასაც საქართველოს ტერიტორიაზე რუსული სპეცსამსახურების თავისუფლად მუშაობაც მოწმობსო. საქართველო ტერორიზმთან ბრძოლაში ჩართული რომაა, საიდუმლოს არავისთვის წარმოადგენს, თუმცა არსებობს თუ არა იმის პირდაპირი საფრთხე, რომ საქართველო ტერორისტული დაჯგუფების შემდეგი მსხვერპლი გახდეს და მართლა ასეთი დაუცველები ვართ თუ არა საქართველოს მოქალაქეები — „ვერსისთვის“ შეფასებებს კავკასიოლოგი მამუშა პრეშიძე აკეთებს.

## არის თუ საქართველო მზად ტერორიზმის აღსაკვეთად

— ტერორისტული ორგანიზაციების ლიდერების მხრიდან უკვე დეკლარირებულია, რომ დასავლეთზე ინტენსიური შეტევები დაიწყეს. დასავლეთიც არაა ერთი ქვეყანა, ამიტომ არ შეიძლება, ერთი ტიპის შეტევა განხორციელდეს საფრანგეთზე, ინგლისზეც და პოლონეთზეც — ეს გამოირიცხება! ანტიტერორისტული კოალიციის ლიდერ ქვეყნებთან მიმართებაში, ალბათ, ტერორისტები უფრო აგრესიული იქნებიან. მუსულმანური მოსახლეობა საფრანგეთში 10%-ია, პოლონეთში — 0,1%, შესაბამისად, საყრდენი ბაზა პოლონეთში არ აქვთ და თუ ასეთი საერთოდ მოხდა, ტერორისტული აქტი პოლონეთში გაცილებით მცირემასშტაბიანი იქნება, ვიდრე საფრანგეთში იყო. რაც შეეხება საქართველოს — რასაკვირველია, ჩვენს შემთხვევაში, ხიფათი სტატუსურია, რადგან ისლამური ორგანიზაციების გავლენის გარემოცვაში ვცხოვრობთ, ხოლო ჩვენი სამი რეგიონის წარმომადგენლები დღეს სირიასა და ერაყში იბრძვიან. ესენია პანკისი, ქვემო ქართლი და აჭარა. შესაბამისად, სამწუხარო კავშირი ამ ყველაფერთან ჩვენც გვაქვს. ისეთ მასშტაბურ შეტევას საქართველოზე, როგორც ეს დასავლეთში მოხდა, რა თქმა უნდა, არ ვვარაუდობ. თუმცა მოსალოდნელი ტერაქტების საფრთხეს ვერ გამოვირიცხავ. თუ რაიმე ტიპის ტერაქტი მაინც მოხდება, ეს არა უშუალოდ საქართველოს მოსახლეობის, არამედ უცხო ქვეყნების მოქალაქეების ან საელჩოების წინააღმდეგ იქნება მიმართული.

— გარკვეულ პანიკას, ალბათ, მუქარისშემცველი ვიდეოები ინვესს, სადაც ქართველი მუსულმანი დაჩოქებით გვემუქრება. მსგავს მიმართებებს სერიოზულად უნდა მივიხედოთ?

— ასე ვერ ვიტყვი, ეს საფრთხე რამდენად რეალური ან ირეალურია, წინასწარი პროგნოზი არასწორია. საკითხი ასე დგას — სტატუსური ხიფათი არსებობს!

— თუმცა ეს ჩვენი ეკოპოლიტიკური მდებარეობის და არა პარიზის ტერაქტითაა გამოწვეული.

— რა თქმა უნდა... თუმცა აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ

**შესაძლოა, პანიკა ზუსტად იმიტომ ატყდეს, საკმაოდ მაღალი კვალიფიკაციის მქონე პოლიტიკოსმა განაცხადოს, ჩვენი სპეცსამსახურები ტერორიზმთან ბრძოლისთვის მზად არ არიანო. ეს არასწორად მიმაჩნია, ასეთ დროს ასეთი რამის თქმა არაფრით არ შეიძლება. დიხს, სწორედ ასეთი განცხადებებია პანიკისა და ქაოსის საფუძველი. ყველაფერს თავი დავანებოთ, იმაშიც არ ვარ დარწმუნებული, რომ ეს სიმართლეა. მე სხვა ინფორმაცია მაქვს: ვფიქრობ, ტერორიზმთან ბრძოლის კვალიფიკაცია შესაბამის სამსახურებს ნამდვილად აქვთ და ორგანიზებულებიც არიან.**

ხელისუფლებასთან სულ სხვა პრეტენზია მაქვს და ვამბობ კიდევ: არასწორი და არასრულყოფილი პოლიტიკა ტარდება პოლიტიკურ ისლამთან მიმართებაში. ეს პრობლემები ზედაპირზე დევს — რეგიონების სოციალური ფონი არ იცვლება, პოლიტიკური ისლამის მქადაგებელ ორგანიზაციებს კი ხელფები აქვთ გახსნილი, იქ უსაქმოდ მყოფი ახალგაზრდების გადასაბირებლად. ასევე, ადგილობრივი, ტრადიციული რელიგია, ისლამი არ ძლიერდება, რაც, შესაძლოა, გაცილებით ეფექტურად დაუპირისპირდეს ე.წ. მოსულ ისლამს. მიუხედავად სპეციალისტების არაერთგზის მოთხოვნისა, შეიქმნას შესაბამისი რელიგიური სასწავლებელი, რათა ახალგაზრდები უცხოეთში არ წავიდნენ, რასაც ვე კეთდებო. ესაა ის პოლიტიკა, რომლის დეფიციტსაც როგორც ამ, ისე წინა ორ ხელისუფლებას ვსაყვედურობ. პირველი მოლა პანკისის ხეობაში 1995 წელს გამოჩნდა და იქედან მოყოლებული, ამას ვლავარაკობ!

— ექსპრესმენტი ალექსანდრე პეტრიავილი შეფასებებში კიდევ უფრო შორს წავიდა — კომპეტენტური არ ვარ, მაგრამ ჩვენი უშიშროება ძალიან სუსტია, რაკი რუსეთის სპეცსამსახურები საქართველოში თავისუფლად მოქმედებენო. მართლა ასეთი დაუცველები ვართ?

— რუსული სპეცსამსახურები საქართველოში რომ მოქმედებენ, ფაქტია. თუ ასე, აგვისტოს ომის წინ, საქართველოს სპეცსამსახურებიც მოქმედებდნენ რუსეთის ტერიტორიაზე და იმედი მაქვს, ახლაც მოქმედებენ, თუმცა ამის შესახებ ინფორმაციას არ ვფლობ. ამ განცხადებით ვინმეს კი არ ვაქვებ, იმაზე მაქვს საუბარი, რომ, როცა საზოგადოებას შთააგონებ, დაუცველები ვართო და თან აყოლებ, ზუსტად არ ვიცი, მაგრამ მგონი, ასეთო, ეს უკვე არასერიოზული და გაუმართლებელია. გარდა ამისა, ზუსტადაც, ტერორიზმთან ბრძოლის თვალსაზრისით, სპეცდანიშნულების რაზმები და ქართული სპეცსამსახურები მზად არიან. სხვა საქმეა პოლიტიკა, რომლის მიმართაც პრეტენზიები მაქვს, თუმცა ასეთი განცხადებების კეთება მაინც არც ერთ შემთხვევაში არ მოხილბა!

— პარიზის ტერაქტი ე.წ. მესამე მსოფლიო ომის საფრთხეს თუ დააჩქარებს — ამაზე ყველა დიდი ხანია საუბრობს?

— ახალი წელთაღრიცხვის მეშვიდე საუკუნეში რომ დაიწყო ეს რელიგიური დაპირისპირება ისლამურ და ქრისტიანულ ქვეყნებს შორის, მას მერე არ დასრულებულა. ხშირ შემთხვევაში, დაპირისპირება სწორედ რელიგიურ ნიადაგზე ხდება და ეს პროცესი დღემდე ასე გრძელდება. ამ კუთხით, მსოფლიოში ახალი არც არაფერია, უბრალოდ, იარაღის ფორმა შეიცვალა. როგორც ამ, ისე გასულ საუკუნეებში, პოლიტიკოსები ისლამს და ზოგადად, ყველა რელიგიას, პოლიტიკური ბრძოლის იარაღად იყენებდნენ. ასეა ახლაც. მსგავსი რამ საქართველოს ტერიტორიაზეც არაერთხელ მომხდარა. ეს უწყვეტი პროცესია და ანალოგიური დაპირისპირება ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე კვლავაც შეიძლება მოხდეს. ჩვენს სამეზობლოში პოლიტიკური ისლამი დღითიდღე ძლიერდება. ჩვენს ჩრდილოეთით კი, რომელიც საქართველოს რაიონებს უშუალოდ ესაზღვრება, კარგა ხანია, ვიცით, რა სიტუაციაა. მაგალითად, კახის რაიონში მათ 400-500 მხარდამჭერამდე ჰყავთ. ეს ძალიან ენერგიული და დინამიკური ძალაა, რომელიც მიხედვით კონტროლი სჭირდება. ეს იდეოლოგიური ომია და ხელისუფლების საქმეა, ამაში ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლ კონკრეტულ პიროვნებებს ვერცერთ შემთხვევაში ვერ დავადანაშაულებთ.

— დაბოლოს, როცა პარიზში მსოფლიოში მარში ჩატარდა, საქართველოში ზოგმა ისიც კი თქვა, რომ ჩვენი დელეგაციის მონაწილეობა ამ მარშში შესაძლოა, ისლამური სამყაროსთვის ნიშნული ნაჭრის აფრიალება იყოს. როგორ უნდა იყოს ჩვენი პოზიცია ამ ვითარებაში?

— მესმის, ჩვენი დელეგაცია მსოფლიო მარშს შეუერთდა და ეს სავსებით ნორმალურია, უბრალოდ, პირველ რიგში, შენს ქვეყანაში უნდა მოაგვარო ყველაფერი და მერე მიიღო მონაწილეობა მსგავს ღონისძიებებში. სწორედ შიდაპოლიტიკის მიმართ არასწორი მიდგომა მანუხებს, რადგან ამის რესურსიც არსებობს და მცოდნე ადამიანებიც არიან.

— აბა, პოლიტიკური ნება არ არსებობს თუ ამ პრობლემის სიმწვავეს ვერ ხვდებიან?

— რამდენიმე მნიშვნელოვან პოსტზე, სამწუხაროდ, ძალიან უყვირ ადამიანები არიან, ვინც ამ პრობლემის სიმწვავეს ვერ ხვდება. საქართველოს ისტორიაში სწორედ ის მომენტები მომწონს, როცა ჩვენი ხელისუფალნი კარგად ფლობდნენ რელიგიურ სიტუაციას, ისიც ესმოდათ, რა იყო ისლამი და შესაბამისადაც იქცეოდნენ. მათ მოახერხეს და თბილისელი მუსულმანები ჩვენი ქვეყნის პატრიოტებად აქციეს. ჩვენ კი ისეთი ადამიანების დაფასებასაც ვერ ვახერხებთ, როგორცაა ხუდია ბორჩალები, რომელიც ერეკლე მეფეს ასპინძის ბრძოლაში დაეხმარა და სელიმ ხიმშიაშვილი, რომელიც ერთ-ერთი იყო, ვინც აჭარას ქართველობა შეუნარჩუნა, იმის მიუხედავად, რომ მუსულმანი გახლდათ.



## ნატო-ს წევრი ქვეყნები საქართველოს მიმართ რუსეთის აგრესიული

პოლიტიკის გამო შეშფოთებას გამოთქვამენ საგარეო საქმეთა სამინისტრო ბრიუსელში 14 იანვარს გამართული ნატო-საქართველოს კომისიის სხდომის შესახებ ინფორმაციას ავრცელებს.

სხდომაში საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი დავით ბაქრაძე და საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე დავით ღონდუა მონაწილეობდნენ.

შეხვედრაზე 2014 წლის წლიური ეროვნული პროგრამის შესრულება და საქართველოს წინაშე არსებული უსაფრთხოების გამოწვევები განიხილბოდა. ალიანსის წევრი ქვეყნების მუდმივმა წარმომადგენლებმა საქართველოს მიერ 2014 წლის წლიური ეროვნული პროგრამის ფარგლებში გატარებული რეფორმები დადებითად შეაფასეს.

შეხვედრის მონაწილეებმა ევროატლანტიკური უსაფრთხოების განმტკიცებაში შეტანილი წვლილისთვის, კერძოდ, ISAF-ის ოპერაციაში მონაწილეობისა და ავღანეთში ნატო-ს ახალ, „ურყევი მხარდაჭერის“ მისიაში მონაწილეობისთვის საქართველოს მადლობა გადაუხადეს.

მუდმივმა წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს 2008 წლის ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილები-სადმი ერთგულება და აღნიშნეს, რომ ალიანსი მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს ევროატლანტიკურ მისწრაფებებს.

წევრმა ქვეყნებმა ასევე გამოთქვეს მზადყოფნა, აქტიური მონაწილეობა მიიღონ და საკუთარი წვლილი შეიტანონ უელსის სამიტზე მიღებული ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის განხორციელებაში, რომელიც საქართველოს წევრობისთვის მომზადებას უწყობს ხელს.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით: „შეხვედრისას აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმთან რუსეთის ფედერაციის მიერ ე.წ. შეთანხმების ხელმოწერით წარმოქმნილი საფრთხეები და გამოწვევები დეტალურად განიხილეს. წევრმა ქვეყნებმა შეშფოთება გამოთქვეს მეზობელი ქვეყნების მიმართ რუსეთის ფედერაციის აგრესიული, არალეგიტიმური და უკანონო პოლიტიკის გამო. შეხვედრის მონაწილეებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს ნატო-ს მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართ“.

„პირველი“



## საქართველოში იოჰანეს ჰანი ოფიციალური ვიზიტით იმყოფება

ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და განვითარების თაობაზე მოლაპარაკებების საკითხებში ევროკომისიის საქართველოში ვიზიტი 15 იანვარს დაიწყო.

ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში ევროკომისიის საქართველოს პრეზიდენტს გიორგი მარგველაშვილს, პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს, პარლამენტის თავმჯდომარეს დავით უსუფაშვილსა და საგარეო საქმეთა მინისტრს, თამარ ბურუჩაშვილს შეხვედრა.

შეხვედრები ასევე დაეგეგმილია სამოქალაქო საზოგადოების, ბიზნეს სექტორის, ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭოსა და საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლებთან.

ევროკომისიის იოჰანეს ჰანი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში საჯარო ლექციას წაიკითხავს და ევროკავშირის მონიტორინგის მისიის (EUMM) მცხეთის საველე ოფისს მოინახულებს.

მცხეთაში ევროკომისიის ასევე ეწვევა ქალთა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით: „ამ რანგში ეს იოჰანეს ჰანის პირველი ვიზიტია საქართველოში, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ევროკავშირის განსაკუთრებულ ინტერესს საქართველოსადმი და წარმოადგენს ევროკავშირის მტკიცე პოლიტიკური მხარდაჭერის დემონსტრირებას ჩვენი ქვეყნისადმი“.

„პირველი“

# რა ჯარიმები და სანქციები აქვთ დადგენილი 2015 წლიდან?

მაია მიშელაძე  
593-51-90-12

ლურჯი თხის წელი საქართველოში ახალი აკრძალვების დაკანონებით დაიწყო. ხანგრძლივი და ლამის გაუთავებელი დროსტარების პარალელურად, ძალაში ისეთი ჯარიმები შევიდა, რომ მოსახლეობას „ნაბახსევზე“ გამოსვლა აღარ გასჭირვებია. ერი პირველად მაშინ „გამოფხიზლდა“, როდესაც 2015 წლის 1 იანვარს, სიგარეტი 20 თეთრით გაძვირებული დახვდა. რაც შეეხება აკრძალვებსა და ჯარიმებს, ამიერიდან ქუჩაში საყოფაცხოვრებო ნარჩენს, ანუ ნაგავს ვეღარ გადაყრით. წინააღმდეგ შემთხვევაში, 50-დან 5 000 ლარამდე დაჯარიმდებით. 2015 წლიდან, ვეღარც ავტომობილიდან გადაადგებთ სხვადასხვა სახის ნარჩენს, სიგარეტის ნამწვსაც კი, მაგრამ, თუ ასეთი მავნე ჩვევა ძვალსა და რბილში გაქვთ გამჯდარი, იცოდეთ, რომ ეს საკმაოდ ძვირი დაგიჯდებათ...

## 20 თეთრით გაძვირებული სიგარეტი, 5 000-დარიანი ჯარიმა ქუჩის დანაგვიანებისთვის და ცვლილებები საგადასახადო კოდექსში



„ნარჩენების მართვის შესახებ კოდექსში“ განხორციელებული ცვლილებებით, გარემოს დაბინძურებაზე ახალი ჯარიმები შევიდა ძალაში. საქართველოს პრემიერ-მინისტრის, **ირაკლი ლარიაშვილის** განცხადებით, 15 იანვრიდან, გარემოს დანაგვიანებაზე მკაცრი ჯარიმები ამოქმედდა. მისი თქმით, ამგვარი გადაწყვეტილების მიღება აუცილებელია, რათა გარემოს დასაცავად შესაბამისი ჩვევები დამკვიდრდეს და მისი დაბინძურება თავიდან ავიცილოთ: „ამ კოდექსის მიზანია, მოახსოვოს ნარჩენების მართვის სფერო. ამიტომ საკმაოდ მკაცრი ჯარიმები დაწესდა, რომლებიც 15 იანვრიდან ამოქმედდება. გარემოს დანაგვიანებისთვის ჯარიმის ოდენობა 50-დან 5 000 ლარამდეა. მნიშვნელოვანია, თითოეულმა მოქალაქემ გააცნობიეროს, რომ დაბინძურებისგან გარემოს დაცვა ყოველი ჩვენგანის ვალია. ეს არ იქნება რთული, თუ ყველა დავიცავთ ელემენტარულ ნებისა და კანონს“.

„ნარჩენების მართვის შესახებ კოდექსი“ მიხედვით, პირი, რომელიც 2 კილოგრამამდე საყოფაცხოვრებო ნარჩენს გადაადგებს და ქუჩაში მიატოვებს, 80 ლარით დაჯარიმდება, საცხოვრებელი ადგილიდან ნაგვის გადაყრის შემთხვევაში — 100 ლარით. „ნარჩენების მართვის კოდექსის“ თანახმად, იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებების მძღოლები და მგზავრებიც დაჯარიმდებიან, რომლებიც სიგარეტის ნამწვს, კვების პროდუქტსა თუ სხვა სახის ნარჩენებს ავტომობილის ფანჯრიდან გადაყრიან. მანქანიდან ნაგვის გადაადგების შემთხვევაში, 120 ლარით დაჯარიმდებით, მაგრამ თუ ამ კანონს იურიდიული პირი დარღვევს, მას 500-ლარიანი ჯარიმის გადახდა მოუწევს. კერძო ავტოსატრანსპორტიდან ნარჩენების გადაყრის შემთხვევაში, ჯარიმდება მძღოლი, რომელიც იმ მომენტში მართავს ავტომობილს. რაც შეეხება საზოგადოებრივ ტრანსპორტს, ამ შემთხვევაში, სამართალდამრღვევ მგზავრს დაჯარიმებენ.

ნარჩენების გადაყრაზე კონტროლი სამ სახელმწიფო სტრუქტურას — ადგილობრივ თვითმმართველობებს, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოს ზედამხედველობის დეპარტამენტს ევალება. თუ აღმასრულებელი საყოფაცხოვრებო ნარჩენის გადაადგების ფაქტს შეესწრება, შესაბამის ოქმს შეადგენს და კანონდამრღვევს დაჯარიმებს, წინააღმდეგობის განხრის შემთხვევაში, პირი 5 000 ლარით დაჯარიმდება.

პარლამენტის მიერ დატკიცებული „ნარჩენების მართვის კოდექსი“, 15 იანვრიდან ამოქმედდა. ამ კანონით, მენარჩენებს თავიანთი ნარჩენების მეორადი გადამუშავების ვალდებულება უჩნდებათ, ახალი კოდექსის ფარგლებში, ევროპული სტანდარტების მქონე ნაგავსაგროვების მოწყობაც იგეგმება. „ნარჩენების მართვის კოდექსი“ ევროდირექტივების გათვალისწინებით მომზადდა.

„ვერსიაში“ უკვე ვნერდით, რომ 2015 წლიდან 1 იანვრიდან, სასაკლაოებისა და ნედლი რძის გადამამუშავებელი საწარმოებისთვის, საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების — HACCP-ის სისტემის დანერგვა აუცილებელი გახდებოდა. ეს არ ნიშნავს, რომ ამ ტიპის საწარმოებს მაშინვე დახურავენ, მაგრამ კომპანიების მენეჯმენტმა HACCP-ის სისტემის დასაწერად, შესაბამისი საშუალებები 2015 წლის 1 იანვრიდან უნდა დაიწყონ. HACCP-ის სისტემა სავალდებულო არ არის იმ ბიზნესსექტორებისთვის, რომლებიც პირველად პროდუქციას აწარმოებენ.

სურსათის ეროვნული სააგენტო, სასაკლაოებისა და ნედლი რძის გადამამუშავებელი საწარმოების ხელმძღვანელებს ინტენსიურად აფრთხილებს, რომ HACCP-ის სისტემა დანერგონ. ამ საწარმოების გეგმური ინსპექტირების შემდეგ, რეკომენდაციებში პირდაპირ უწერენ, რომ სურსათის უვნებლობის თვალსაზრისით, ვალდებულები არიან, ეს სისტემა დანერგონ. თუმცა ეს საკმაოდ გრძელვადიანი პროცესია, შესაბამისად, 2015 წლის 1 იანვრიდან, საქართველოს კანონმდებლობაში HACCP-ის სისტემის აღიარების ნება შემოდის. თავისთავად, აღიარება ერთნაირი პროცედურაა და HACCP-ის სისტემაზე უსუსტად ამ ერთი წლის განმავლობაში უნდა დაინერგოს. მართალია, 2015 წლის 1 იანვრიდან არცერთი კომპანია არ დაიხურება, მაგრამ საწარმოების პერმანენტული კონტროლი აუცილებელი ხდება. თუ ამ ერთი წლის განმავლობაში გაირკვევა, რომ სასაკლაოები და ნედლი რძის გადამამუშავებელი საწარმოები HACCP-ის სისტემის დანერგვაზე არ ზრუნავენ,

სურსათის ეროვნული სააგენტო გარკვეულ შეზღუდვებზე მხოლოდ ამის შემდეგ იფიქრებს.

საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემა, სურსათის უვნებლობის თანამედროვე მიდგომას ნიშნავს. სასაკლაოებსა და ნედლი რძის გადამამუშავებელ საწარმოებში HACCP-ის დანერგვას, სურსათის ეროვნული სააგენტო გააკონტროლებს. ამ სისტემის წარმატებით განხორციელების შემდეგ, სახელმწიფო ოფიციალურად აღიარებს და დადასტურებს, რომ ესა თუ ის საწარმო სურსათის უვნებლობის წესებს იცავს. რაც მთავარია, საერთაშორისო სურსათის უვნებლობის საკვების უვნებლობის, ექსპერტიზისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის თანახმად, ფიზიკურ პირებსა და ფერმერებზე სახელმწიფო კონტროლი არ ვრცელდება. შესაბამისად, მათ HACCP-ის სისტემის დანერგვა არ მოუწევთ.

ახალი წლის პირველივე დღიდან, ყველა სახეობის სიგარეტი 20 თეთრით უკვე გაძვირდა. 2015 წლის 1 იანვრიდან, ფილტრის სიგარეტზე (20 ლერი), აქციზის განაკვეთი 0.15 ლარით, ხოლო უფილტრო სიგარეტზე (20 ლერი) — 0.05 ლარით გაიზარდა. გარდა ამისა, ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, 2015 წლის 1 იანვრიდან, აქციზის გადასახადის „შერეული სისტემა“ შემოვა, რომლის მიხედვით, ფილტრისა და უფილტრო სიგარეტებზე აქციზის განაკვეთი, საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული აქციზის განაკვეთისა და ამ საკონტროლო საცალო-სარეზერვუარი ფასის 5%-ის ჯამი იქნება. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, მსოფლიოში თამბაქოს მოხმარება სიკვდილის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. თამბაქოს გლობალური ეპიდემიის გამო, წელიწადში, დაახლოებით, 6 000 000 ადამიანი იღუპება, აქედან 600 000-ზე მეტი — მეორადი კვამლიდან, ანუ „პასიური მონკის“ გამო. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ინფორმაციით, საქართველოში ყოველწლიურად, 11 000 აქტიური და 3 000 „პასიური მწველი“, თამბაქოს მავნე ზემოქმედების შედეგად იღუპება. ქვეყნის მოსახლეობის 30% აქტიური მწველია, აქედან 55% — მამაკაცები, ხოლო 5% — ქალბატონები არიან. თამბაქოს მოხმარების საშუალო ასაკი 18 წლით განისაზღვრება, თუმცა 30% — მონკეებს 13 წლიდან იწყებს. ბავშვების 60% აცხადებს, რომ მალაზიაში თამბაქოს შექმნა პრობლემა არ არის.

ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა, „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში უკვე აღნიშნა, რომ ევროკავშირის მოთხოვნით, საქართველო ვალდებულია, თამბაქოსა და ალკოჰოლურ სასმელებზე აქციზის განაკვეთი გაზარდოს. გარდა ამისა, აქციზის განაკვეთის ზრდა ერთგვარი პრევენციაცაა, რადგან რაც უფრო ძვირია სიგარეტი და ალკოჰოლური სასმელი, მით ნაკლები მოზარდი შეძლებს მათ მოხმარებას.

2015 წლის 1 მარტიდან, საქართველოში ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური დოკუმენტაცია სავალდებულო ხდება. ამ დრომდე ძალაში რჩება „საგზაო მოძრაობის შესახებ“ კანონის ის პუნქტი, რომელიც 1 მარტიდან, სატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისიანობაზე სავალდებულო ტესტირებას ითვალისწინებს. საუბარია იმაზეც, რომ შესაძლოა, მანქანების „ტექდათვალიერება“ ორი წლით — 2017 წლამდე გადავადდეს, მაგრამ შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივით, მთავრობას პარლამენტისთვის არ მიუშარტავს.

დღემდე, ტექნიკური მდგომარეობის განსაზღვრის მიზნით, გზისთვის ვარგისობაზე სავალდებულო ტესტირებას მხოლოდ ის ავტოსატრანსპორტო საშუალებები ექვემდებარებიან, რომლებიც ადგილობრივ, საქალაქო, რეგულარულ სამგზავრო გადაყვანას, საერთაშორისო გადაყვანა-გადაზიდვას, ასევე სახიფათო ტვირთის გადაზიდვას ასრულებენ. „ტექდათვალიერება“ სავალდებულოა იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვისაც, რომლებსაც 3 ტონა და მეტი ტვირთამწონა გააჩნიათ. სხვა სახის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელთათვის კი „ტექდათვალიერება“ ნებაყოფლობითია.

ახალი წლიდან, სხვადასხვა კანონში, რამდენიმე ეკონომიკური შინაარსის ცვლილება შევიდა, რაც მთავრობის წევრების შეფასებით, საზოგადოების სოციალურ მდგომარეობაზე დადებითად აისახება. „ვერსიაში“ ვნერდით, რომ 2015 წლიდან, თბილისში სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის არსებული კომუნალური დახმარებები გაორმაგდება და 250

ლარის ნაცვლად, მათზე 500-ლარიანი სუბსიდია გაიცემა, ხოლო ყველა დანარჩენ ოჯახს მიმდინარე წლის პირველი 3 თვის განმავლობაში, თვეში 20 ლარი ჩაერიცხება, როგორც ეს წინა წლებში ხდებოდა.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში, სამშვიდობო მისიებში დაღუპული მებრძოლების ოჯახებსა და ვეტერანებს პენსია გაუორმაგდათ. მიმდინარე წლიდან, ისინი 500 ლარის ნაცვლად, უკვე 1 000 ლარს მიიღებენ. ეს ცვლილება „პენსიებისა და კომპენსაციების შესახებ“ კანონში შევიდა.

ცვლილებები შევიდა საგადასახადო კოდექსშიც. ფინანსთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ოფიციალური ინფორმაციით, ჩამოწმდა დაექვემდებარა: 2005 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი და დღემდე გადაუხდელი საგადასახადო დავალიანების თანხა, თუ გადახდელს შემდგომ პერიოდში აქტივობები არ უფიქსირდება; 2009 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი ალიარებულ საგადასახადო დავალიანებაზე დარიცხული საურავი და 2009 წლის 1 იანვრამდე დარიცხული ალიარებული ჯარიმა, ალიარებული გადასახადის თანხის გადახდის პირობით, თუ პირს შემდგომ პერიოდში აქტივობები არ უფიქსირდება; საკონტროლო საღაარო აპარატის გამოყენების წესების დარღვევისათვის ფიზიკური პირისათვის, 2013 წლის 1 იანვრამდე დაკისრებული/დარიცხული და ამ ნორმის ამოქმედებამდე გადაუხდელი ჯარიმა.

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, ეტაპობრივად განხორციელდება საგადასახადო შემოსემების, გადასახადის გადახდისათვის გადასახადისა და სანქციის დარიცხვის, აგრეთვე, გადასახადის გადახდელის მოთხოვნის წარდგენის 6-წლიანი ხანდაზმულობის ვადის 3 წლამდე შემცირება. 2015 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 1 იანვრამდე, ხანდაზმულობის ვადა — 5 წლამდე, 2016 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე — 4 წლამდე, ხოლო 2017 წლიდან — 3 წლამდე შემცირდება.

ამავე ცვლილებებით, ფინანსთა მინისტრს მიენიჭა უფლებამოსილება, გამოსცეს საჯარო გადაწყვეტილება, რომელიც საგადასახადო კანონმდებლობის ნორმების გამოყენებას ეხება. თუ პირი საჯარო გადაწყვეტილების შესაბამისად მოქმედებს, მაკონტროლებელი/სამართალდამცველი ორგანოს მიერ, ამ გადაწყვეტილების საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღება და გადასახადის/სანქციის დარიცხვა დაუშვებელია. ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით: „**დამატებითი ღირებულების გადასახდისგან (დღგ) გათავისუფლდა შიდა გადამამუშავების სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული საქონელი აღნიშნული სასაქონლო ოპერაციის ფარგლებში მონტაჟის, აწყობის, რემონტის, ნარმოების, შეკეთებისა და სხვა სახის მომსახურების განხორციელება; თუ საგადასახადო დავალიანების თანხა 5 000 ლარს არ აღემატება, დავალიანების გადახდის გადავადება შესაძლებელია ერთი წლით, თანაც უზრუნველყოფის საშუალებების წარდგენის გარეშე; სუსტი კაპიტალიზაციის მარეგულირებელი დებულებების ნორმები გადავადდა 2016 წლის 1 იანვრამდე; ტურისტული სექტორის ხელშეწყობის მიზნით, მნიშვნელოვნად დაიხვეწა და გამარტივდა ტურისტული საწარმოს საგადასახადო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული დებულებები; დღგ-სგან გათავისუფლდა ნიგნის დასამზადებლად საჭირო ქალაღის მინოდება; 10%-დან 8%-მდე შემცირდა აქციზის განაკვეთი მობილური საკომუნიკაციო მომსახურებისათვის; საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლდა პირი, რომელსაც მკურნალობის ხარჯები საქველმოქმედო ორგანიზაცია უნაზღაურებს“.**

იმისთვის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა შესაბამისობაში მოვიდეს საუკეთესო, საერთაშორისო პრაქტიკასთან, ფინანსთა სამინისტროში არაერთი სხვა საკანონმდებლო ინიციატივაც შემუშავდება. კერძოდ, „საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების“ ფარგლებში, განხორციელდება საბაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, გამარტივდება საბაჟო წესები და პროცედურები; არაპირდაპირი გადასახადების (დღგ, აქციზი) ნაწილში, საგადასახადო კანონმდებლობა დაუახლოვდება ევროკავშირის რეგულაციებს; გადასახადის ადმინისტრირება გამარტივდება და საგადასახადო სანქციების ოპტიმიზაციაც განხორციელდება.

როგორც წესი, უცხოელებს ქართულ ციხეებში გაძლე-  
ბა უჭირთ. ენობრივი ბარიერის გარდა, სხვა სირთულეც  
არსებობს. პირველ რიგში, ქართულ სასჯელსრულებით  
სისტემებში არსებული პირობები, რომლებიც ევროპულთან  
ახლოსაც ვერ მივა — რამდენიც უნდა ამტკიცოს ყოფილმა  
თუ მოქმედმა ხელისუფლებამ, ევროპულ სტანდარტებს ვაკ-  
მაყოფილებთო, რეალობა სხვაგვარია.

„შვედეთის ციხეში ვარ ნაჯდომი. იცით, როგორ იყო?! რომ  
მიმიყვანეს, ყველაფერი გამომკითხეს, ისიც კი, შემწვარ საკ-  
ვეებს ვანიჭებდი უპირატესობას თუ მოხარშულს, რათა ამის  
მიხედვით შეედგინათ ჩემი კვების რაციონი. ერთი ქართველი  
დამხვდა, რომელმაც ჩემი თანდასწრებით ზედამხედველს  
წახილი ჩააზილა. მაშინვე ფსიქოლოგი მოუყვანეს და აგრესი-  
ის მიზეზის შესწავლა დაიწყო“, — ყველგან პატიმარი დავით  
კ, რომელსაც მთელი ევროპა ჰქონდა შემოვლილი, შვედეთის  
გარდა, ავსტრიის, გერმანიის, საფრანგეთის, ჰოლანდიისა და  
ბელგიის ციხეებშიც ნანახი ჰქონდა და თითქმის ყველგან ანა-  
ლოგიური ვითარება დახვდა.

ისევ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს დაუზრუნდეთ. ადგი-  
ლობრივ გარემოს უპრობლემოდ ჩენები ეგუებოდნენ. ისინი  
საერთო ენას ადვილად პოულობდნენ ქართველებთან და არა-  
ფერი უჭირდათ, მით უმეტეს, ციხეებში ქისტების მრავალად  
ისხდნენ და მოძვე ჩენებს ადაპტირებაში ეხმარებოდნენ...

ორიოდე დღის წინ, ხელისუფლებამ ახალი ინიციატივა წა-  
მოაყენა და დიდი ალბათობით, სხვა ქვეყნების შეიარაღებულ  
ფორმირებებში მონაწილეობა ქართული კანონმდებლობით  
დაისჯება. სწორედ ამ განცხადებამ გამახსენა პანკისელი  
თორღო მარგოშვილი, რომელიც სასჯელს რუსთავის №17  
სასჯელსრულებით დაწესებულ ციხეებში იხდის.

„თორღვა, ტელეფონებზე შენი ზემოქმედების დრო თურმე  
შენ გაქვს და მაგ დროიდან ნახევარი საათი მჭირდება, და-  
სარეკი მაქვს აუცილებლად“, — პატიმარი №0578 თორღვას  
საკანში იჯდა და მშვიდად ესაუბრებოდა.

„არ არის პრობლემა, ძმა, პირველ ტელეფონთან მიდი და  
დარეკე. უთხარი ჩენების დროიდან ვრეკავ ნახევარ საათს-  
თქო. ისე, ხომ მშვიდობა გაქვს, რამეში ხომ არ შემოიღია და-  
გეხმარო?!“ — უთხრა თორღვამ.

„ახლა არაფერში. მერე თქვენი, ქისტების ტრადიციები მა-  
ინტერესებს და თუ მომიყვები, ცუდი არ იქნება“, — გაუღიმა  
პატიმარმა.

„შენზე მითხრეს, ისტორიებს აგროვებსო. რად გინდა?!  
აქედან რომ გახვალ, უნდა დანერო? ისე, თუ დანერ, ჩემზე  
მეტსახელი, მოგონილი სახელი და ასეთი რამ არ ქნა, პირდაპირ  
თორღვა მარგოშვილი დანერე, არაფერი მაქვს დასამალი“, —  
თვალი ჩაუკრა თორღვამ „კოლეგას“.

რამდენიმე დღის შემდეგ თორღვა №0578-ის კამერაში ნარ-  
ზე იყო ნაშოკუბუბულო, ჩაის წრუპავდა და ქისტებზე, მათ  
წარსულზე, აწმყოზე და არც თუ პერსპექტიულ მომავალზე სა-  
უბრობდა, თუმცა საუბრიდან გამომდინარე, პატიმარ №0578-ს  
ტრადიციებზე მეტად, სხვა რამ დააინტერესა.

„რას მეუბნები?! ქისტების ახალგაზრდობის ძირითადი  
წინილი საზღვარგარეთ იბრძვის. წინილი კი აქაურ სპეცრაზ-  
მებშია?! და ეს სპეცრაზმელები და ის მებრძოლები სადმე  
ერთმანეთს შემთხვევით გადაეყარონ, მერე რა იქნება?!“ —  
ჩაეკითხა №0578.

„არაფერიც არ იქნება, იმ მხარესაც და ამ მხარესაც ნიღაბი

# თორღვა მარგოშვილის ისტორიკა „ლაფანყურის სპეცრაზმის“ დროს

## როგორ იხდის სსხჯელს ქართულ ციხეში უცხოელები, როგორ იყენებდა ბაჩო ახადაია ქისტებს ქიდერებად და რაფომ გაიმეცეს სპეცრაზმის მონაწილეები



უკეთია. თუ ასე გავყვებით, მე რომ დამიჭირა, იმ სპეცდანიშნუ-  
ლების რაზმში ჩემი ბიძაშვილი მუშაობს. მართალია, იმ დღეს  
სამსახურში არ იყო, მაგრამ რომ ყოფილიყო, რას იზამდა?! მე  
ნიღბით ვიყავი, ისინიც... სროლა წავიდა, ერთი დაიჭრა, მეც  
დავიჭერი და ამიყვანეს. შეიძლება ბიძაშვილებს ერთმანეთი  
დაგვეხვდა, მაგრამ ყველა თავად ირჩევს ცხოვრების გზას“, —  
ნაღვლიანად თქვა თორღვამ.

„და ვინ წყვეტს, ახალგაზრდები სად უნდა წავიდნენ საბ-  
რძოლველად?! უხუცესებს ეკითხებით რამეს?!“, — არ ასვე-  
ნებდა №0578.

„არა, რა შუაში არიან უხუცესები?! არაფორმალურ, დაქი-  
რავებულ მებრძოლებს ბევრს უხდიათ, აქ კიდევ ხელფასია.  
ვინც ბრძოლას აპირებს, თავად მისი გადასაწყვეტია, რა  
ურჩევია — ნაკლები რისკი და შესაბამისად, ნაკლები ჯა-  
მაგირი თუ დიდი რისკი და ბევრი ფული. იცი, რამდენი ჩენი  
ბიჭი ჩამოასვენეს ირანიდან, ეგვიპტიდან, სირიიდან... აქაური  
სპეცრაზმის წევრები კი მიდიან, მოდიან... ისინიც რისკავენ,  
მაგრამ ბოლოს როდის გაიგე, სპეცრაზმელი მოკვდაო?! ჰოდა,  
ეგ არის, რა“, — აუხსნა თორღვამ.

„და შენ მაინცდამაინც ყაჩაღობა რატომ არჩიე“, — გაე-  
ღიმა №0578-ს.

„რა ვიცი, არ ვარ მონადეხი, ან სპეცრაზმელი ვიყო, ან  
მებრძოლი. ვიპარავ და ვარ“, — გაეცინა ქისტს.

ამ საუბრიდან რამდენიმე თვეში ლაფანყურის სპეცოპე-  
რაცია დაიწყო. თორღვა №0578-ის კამერაში კი არ შევიდა,  
შევარდა და პატიმარს ლამის მუხლებში ჩაუვარდა.

„გახსოვს, მაშინ დრო რომ მოგეცი, ნახევარი საათი. სწორად  
გამიგე, მაგრამ ეგ დრო მიწადა ახლა და კიდევ თუ შეძლებ, ისიც  
მინდა. სამი საათი მაქვს კიდევ, მაგრამ არ მეყოფა და თუ ძმა  
ხარ, მიშველე“, — თორღვას თვალებიდან ცრემლები სდიოდა.  
„ხდება რამე?!“ — იკითხა პატიმარმა.

„ჩვენთან არის ეგ სპეცოპერაცია. ჩემი ბიძაშვილი სპეცრაზ-  
მშია-მეთქი, ხომ გითხარი. ეგ სპეცრაზმი ატარებს სპეცოპე-  
რაციას. ახალაიას სპეცრაზმი. იმასთან არის ჩემი ბიძაშვილი.  
პირადად ნაიყვანა ბაჩომ პანკისიდან, აღნაგობა მოეწონა. ჰო-  
და, მე როგორც მითხრეს, ტყეში რომ ბიჭები არიან, იქ მეორე

ბიძაშვილია და უნდა გავიგო, რა ხდება. არ დახოცონ ბიჭებმა  
ერთმანეთი, თორემ მე აქ მოვიკლავ თავს და გარეთ კიდევ რა  
მოხდება, კაცმა არ იცის. დრო მინდა, ტელეფონის დრო“, —  
თორღვა უკვე ხმამაღლა ტიროდა.

„შენი ნახევარი საათი კი არა, ჩემს კამერაში 14 კაცია, თი-  
თოს დასარეკად ათი წუთი აქვს. სერიოზულ საქმეზე არავინ  
რეკავს, ამიტომ მთლიანი დრო შენი იყო, ორ საათზე მეტი  
გამოწეს, მიდი“, — უთხრა №0578-მა და თორღვას თან გაჰყვა.

ჩენწიდან საუბრიდან №0578-ს თითქმის არაფერი ესმოდა,  
თუმცა თავის მტკრევა დიდხანს არ მოუხდა, ადმინისტრაციამ  
ტელეფონები გამოართო. თორღვა კინალამ გაგიჟდა, ჯერ ერთ  
ოფიცერს ეცა, მერე მეორეს, ბოლოს კი ზედამხედველებზე  
საცემრადაც გაიწია.

„ჩემთან ნამოდი, ხომ იცი, ვერაფერს გახდები. მე დაველა-  
პარაკები მერე, ეგებ სალამოს, ზონა რომ დაიკეტება, დრო  
მოგცენ სასაუბროდ და თან უთხარი, რომ ქართულად ილა-  
პარაკებ. არ ჰყავთ მაგათ ჩენი თარჯიმანი და ტელეფონი  
იმიტომ გამოგირთეს“, — №0578-მა თორღვა თავის საკანში  
ლამის ზურგით აათრია.

სალამოს თორღვას მხოლოდ 15 წუთი მისცეს, მეორე დღეს  
კი ტელეფონები ისევ არ ჩართეს.

„სამინელება ხდება იქ. ჩემებმა არ იციან, ბიძაშვილები სად  
არიან, რომელ მხარეს. მთელი სოფელი ფეხზე დგას, რამდე-  
ნიმე ახალგაზრდა გამქრალი. სპეცრაზმში ჩემი ბიძაშვილის  
გარდა სხვაც არის ადგილობრივი, ჩემი ძმადნაფიცია ერთი.  
არცერთის ადგილსამყოფელი არ იციან, შინაგან საქმეთა  
სამინისტრო აცხადებს, ყაზარმული გვაქვს და ამიტომ, სამ-  
სახურიდან ვერ ვუშვებთო. მაგას ვინ ჭამს?! იმ ბიჭებზე უკეთ  
არავინ იცის ის ხეობა. იქ იქნებიათ, მაგრამ...“, — თორღვა  
ბოლომდე ვეღარ ამთავრებდა სათქმელს.

„რა მაგრამ, თორღვა, ბოლომდე თქვი. თუ ორივე მხარეს  
ქისტები იქნებიათ, არ არის ცუდი, მოლაპარაკება შეძლებენ,  
წოდოს მოპოვების შესაძლებლობა მეტი იქნება. გესმის შენ  
ეს?! კარგია-მეთქი, კარგი“, — ამშვიდებდა №0578.

„რა არის კარგი?! შენ ის იცი, რომ ამ ჩემს ბიძაშვილს, არც  
საბუთი აქვს და არც დოკუმენტი, რომ სპეცრაზმელია?! ასე  
ჰყავთ ბიჭები, ახალაიას პირად დაჯგუფებად ითვლებიან, კაც-  
მა არ იცის, რას დაავალბენ და ხელფასს რაღაც ფონდიდან  
უხდიან, ქეშად, არც საბანკო ანგარიში და არც სხვა რამ. ჩვე-  
ულერზე ქილერების ჯგუფია და თუ ეს ჯგუფი შეუშვებს ხეო-  
ბაში, იქ გარჩევა აღარ იქნება. ბიძაშვილი ბიძაშვილის სისხლს  
დაღვრის, გესმის?!“ — თორღვას უკვე ისტერიკა ჰქონდა.

\*\*\*

ლაფანყურის სპეცოპერაცია როგორც დასრულდა, ყველამ  
იცის. კიდევ რამდენიმე დღე ცდილობდა თორღვა თავისი ნა-  
თესავების ბედის გარკვევას, ხან ტელეფონს უთითავდნენ, ხან  
იქიდან არაფერს ეუბნებოდნენ, ბოლოს კი...

„ორივე მოკვდა, გესმის, ორივე. ორივეს ნასროლი აქვს,  
ერთს ზურგში, მეორეს თავში. თავში აქვს ერთადერთი ტყვია  
იმას, ვინც ტყეში იყო შესული. იცი, ეს რას ნიშნავს?! ცოცხლად  
დაიჭირეს და დახვრიტეს, სხვაგვარად თავში როგორ უნდა  
მოერტყათ. ჩვენები ამბობენ, მონამლეს, დააძინეს და მერე  
დახოცესო. ამ სპეცრაზმელს კიდევ ზურგში აქვს ნასროლი,  
მგონია ამათმა გაიმეტეს, არ შევიდოდა ის ბიძაშვილების მო-  
საკლავად და ეს სპეცრაზმელიც იმ გავარდნილებს მიათვალეს.  
არადა, მთელმა სოფელმა იცის, რომ რამდენიმე წელია, უკვე  
ახალაიასთან არის, სადაც წავიდა, იქ წაიყვანა ეს ბიჭები და  
ახლა... ახლა გაიმეტა“, — მოთქვამდა თორღვა.

„რას აპირებ?!“ — ჩემად ჰკითხა №0578-მა.

„შურს ვიძიებ. თუ დამცალდა გარეთ გასვლა, შურს ვიძიებ“, —  
მუქარით თქვა ქისტმა,

\*\*\*

„თორღვა, როგორ ხარ, სად ხარ, რას აკეთებ?!“ — პატიმარი  
№0578 ქისტს თბილისში, თავისუფლებაზე შეხვდა.

„სოფელში ვარ, ნასვლას ვაპირებ, რა ვქნა აბა, იქ პერ-  
სპექტივა წელია. შენ როგორ ხარ?!“, — თორღვა მეგობარს  
გადაეხვია.

„მე არა მიშავს და... ის დაპირებული შურისძიება გადადე,  
ბიჭო?!“, — გაეღიმა №0578-ს.

„მაგაზე აღარ მეხუმრო. არაფერი გადავდე, მაგრამ სად  
მივწვდი მათ, ციხეში?! მოვა მაგათი დროც, დამიჯერე, მოვა“, —  
ისევ მუქარით თქვა თორღვამ.

№0578-მა თორღვა მარგოშვილი ორი კვირის წინ მოიკითხა,  
მაგრამ უთხრეს, ევროპაშიაო. სად არის რეალურად პატი-  
მარყოფილი ქისტი, არავინ იცის და ეგებ, ევროპის ნაცვლად,  
რომელიმე მხარის სასარგებლოდ იარაღს ისვრის.

### პერსიანიუსი

## შსს-მ ნარკორაილიზაცორები დააკავა და 514 აბი „სუბუტექსი“ აპოილო



შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის პირველი  
მთავარი სამმართველოს პირველი სამმართველოს მესამე განყოფილების  
თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული  
სამძებრო-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ორგანიზებული ჯგუფის  
მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო  
შექმნა-შენახვა-გასაღების ბრალდებით 1978 წელს დაბადებული ლევან თ, მისი  
მეუღლე 1980 წელს დაბადებული ნატა დ. — თბილისში, ხოლო ნარსულში მრავ-  
ალჯერ ნასამართლავი 1970 წელს დაბადებული ელდარ გ. ქუთაისში დააკავეს.  
გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულები სისტემატურად ახდენდნენ  
ნარკოტიკული საშუალების რეალიზაციას და მათ ორგანიზატორობას უწევდა ამერიკის შეერთებულ შტატებში მყოფი 1979  
წელს დაბადებული ლაშა თ.

სამართალდამცველებმა ელდარ გ-ს პირადი ჩხრეკისას 0.1565 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება ბუპრენორფინის შემ-  
ცველი 12 აბი „სუბუტექსი“ და აბის 12 ნატეხი, ხოლო მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას 3.92176 გრამი ბუპრენორფინის  
შემცველი 484 აბი „სუბუტექსი“ და აბის 15 ნატეხი აპოილეს. სამართალდამცველებმა ასევე ამოიღეს საკონტროლო შესყიდ-  
ვით მიღებული 0.15832 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება ბუპრენორფინის შემცველი 18 აბი „სუბუტექსი“, აბის ნატეხები და  
ფხვნილისებური ნივთიერება, ხოლო ლევან თ-ს და ნატა დ-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ნარკოტიკების რეალიზაციის  
შედეგად მიღებული თანხის ნაწილი 200 ლარი.

გამოძიება ორგანიზებული ჯგუფის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-  
შენახვა-გასაღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით).

## შსს-მ 132 აბი ე.წ. პესტაზი აპოილო



შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების  
უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა,  
ჩატარებული ოპერატიული-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, 1989 წელს დაბადე-  
ბული სახავატ მ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების  
უკანონო შექმნა-შენახვის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 95 აბი ე.წ. „ექსტაზი“  
ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 9,914 გრ ნარკოტიკულ საშუალება  
მდმა-ს (3,4-მეთილენდიოქსიმეტაფტამინი) შეიცავს. ასევე ამოღებულია 1,1145 გრ  
მდმა-ს (3,4-მეთილენდიოქსიმეტაფტამინი) შეიცავს. ასევე ამოღებულია 1,1145 გრ  
შექმნა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით). გამოძიებას  
შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი აწარმოებს.

„ვერსიანიუსი“

თამარ ლომსაძე  
568-34-44-94

ბრიყვო!.. შეურაცხყოფას არავის ვაყენებ. ამ სიტყვის მნიშვნელობა ყველამ იცის, მაგრამ იმას თუ წარმოიდგენთ, რომ ეს შეურაცხყოფა კი არა დიაგნოზია?! დიახ, მსოფლიო მეცნიერები განგაშის ზარს რეკენ და პროგნოზირებენ, რომ მალე მოსახლეობის სიკვდილიანობა მკვეთრად მოიმატებს.

ჰოპკინსის უნივერსიტეტის მეცნიერებმა სიბრიყვის ვირუსი აღმოაჩინეს და კვლევის შედეგები ჟურნალში *Proceeding of National Academy of Sciences* გამოქვეყნდა. ახლავე აგისხნით რაშიცაა საქმე — მიკროორგანიზმი, რომელიც აქამდე მხოლოდ მწვანე წყალმცენარეებში შეინიშნებოდა, ადამიანის ორგანიზმში მოხვდა. ამ დროს ტვინი, ფაქტობრივად ბურუსით იფარება — ადამიანი სულელდება, ცუდად აზროვნებს და ყველაფერი ავიწყდება. კვლევის შედეგად გაირკვა, რომ 90 მოხალისეს შორის, მიკროორგანიზმი 40 ადამიანში ბინადრობდა. ამბობენ ქლოროვირუსის აღმოჩენა ყელის უმარტივესი ნაცხითაა შესაძლებელი, მაგრამ მკურნალობის მეთოდებზე ვერ არავინ საუბრობს.

რა სისწრაფით ვრცელდება ბაქტერია? — ამერიკელმა მიკრობიოლოგმა, ჩარლზ გერბმა მიკროორგანიზმებით მხოლოდ ოფისის კარის სახელური დაამუშავა, შემდეგ კი, იგი აღმოჩნდა ჩამრთველებზე, ლიფტის ღილაკებზე, ტელეფონებზე და ჭიქებზეც კი — 6 საათში მთელი შენობა იყო ოკუპირებული ბაქტერიებით.

ზოგი მეცნიერი უფრო შორს წავიდა და განაცხადა, რომ სწორედ ეს ბაქტერია გახდა ებოლას ვირუსის საფუძველი და ირწმუნება, რომ ებოლა ერთადერთი საფრთხე სულაც არ არის — ბოლო პერიოდში ქოლერას კერები ერთდროულად 58 ქვეყანაში დაფიქსირდა: ჰაიტიზე ეპიდემია არაერთი წელია მძვინვარებს და დაავადებულთა რაოდენობა ათობით ათასია; ყვითელმა ცხელებამ მოიცვა აფრიკა და სამხრეთ ამერიკა; ფილტვების ჭირია მადაგასკარზე და მჭიდროდ ჩასახლებული ტერიტორიაც ხელს უწყობს სწრაფად გავრცელებას, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით კი, ინფექციური დაავადებები წლიდან წლამდე სიკვდილიანობის მაჩვენებლის მხრივ პირველ სამეულშია...

ეს მხოლოდ ვარაუდებია, რეალურად კი რა ხდება, არავინ იცის, მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ ადრე ამ ვირუსის აღმოჩენა მეცნიერებმა მხოლოდ ერთხელ მოახერხეს გარდაცვლილი ადამიანის ტვინში, თუმცა მაშინ არც უფიქრიათ, რომ ვირუსმა ორგანიზმში ადამიანის სიცოცხლეში შეაღწია.

ექსპერიმენტებიც და კვლევებიც არ იძლევა სიმშვიდის საფუძველს — 33 მოხალისიდან ნახევარმაც ვერ შეძლო უმარტივესი ტესტირების გავლა!

# კაცობრიობას ახალი დაავადება — სიბრიყვის ვირუსი უბნის



## სიბრიყვე — შეურაცხყოფა თუ დიაგნოზი

### ცვინი ბურუსით იფარება, ადამიანი სულელდება, ცუდად აზროვნებს და ყველაფერი ავიწყდება...

ვირუსოლოგი რობერტ იოლკენი აღნიშნავს, რომ ვერასოდეს დაუშვებდა, ადამიანების გონებრივ შესაძლებლობებში სხვაობა ამ ვირუსით თუ იქნებოდა განპირობებული და არა გენებით: „ეს კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ვითომ უვნებელი მიკროორგანიზმები, რომელიც ჩვენს ორგანიზმში ბინადრობს, გავლენას ახდენს ჩვენს ქცევაზე“.

ასე რომ, რეალობა შემაშფოთებელია — სიბრიყვის ვირუს-

სი არსებობს! — მეცნიერულად ეს დამტკიცებულია, თუმცა ალბათ საქართველოს, ებოლას მსგავსად, არც ის ემუქრება. რატომ? — მიზეზი მარტივია, როცა რაიმე ინფექციური დაავადება გადატანილი გაქვს, იმუნური სისტემა მის მიმართ ბევრად მდგრადი ხდება და შესაბამისად ნაკლებად გემუქრება საფრთხე.

ვიმეორებ, არავის შეურაცხყოფ, მაგრამ, როდესაც გამუდმებით გესმის, რომ ერთი რაღაც პრობლემა არსებობს და ჩვენი ყოფაც მოკლე მესხიერების ბრალია, თავისთავად ჩნდება ერთი მარტივი, რიტორიკული კითხვა — სიბრიყვე, ამნეზია... ეს ყველაფერი ჩვენ ხომ უკვე გადავიტანეთ?

## კვირის

# მოსახლეობისთვის ბოსტნეულის სანატრელი გახდა, რინოვნიკები კი ხელფასებს იმატებენ



გიორგი სირაძე  
„ვარსისთვის“ გურიიდან

ჰიგიენური საშუალებები, მედიკამენტები ბოსტნეული, ხილი რძე და რძის ნაწარმი, — ეს იმ პროდუქტის მცირე ჩამონათვალია, რომელიც ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში თვალშისაცემად გადავირბა და აღარ გაიფიქრებია. ამ პერიოდში ზოგ პროდუქტზე ფასმა 20-30%-ით, ზოგზე კი — 100-200%-ით მოიმატა.

გაძვირდა ყველაფერი იმიტომ, რომ ჩვენი პროდუქტი უკვე ამოიწურა, თურქეთიდან რაც შემოდის, ფასები დამატებულია ყველაფერზე, — ნუხან მოვაჭრეები.

ფასების მატება განსაკუთრებით შეინიშნება იმ ბოსტნეულზე, რასაც სოციალურად დაუცველი ფენა ყველაზე მეტად მოიხმარს, თითქმის 200%-ით გაძვირდა კარტოფილი და 40%-ით — ლობიო, გამომდინარე აქედან, რამდენიმე დასახელების ბოსტნეული ახლა უმრავლესობისთვის ისევე ხელმიუწვდომელი გახდა, როგორც ბევრისთვის ხორცი და ყველი: „საგრძობლად არის ფასები ყველაფერზე მომატებული, კარტოფილი ამ ფასად არასოდეს მიყიდა“; „შარშანაც ძვირი იყო ყველაფერი და წელსაც ასეა. საერთოდ ცნობილია, რომ ოზურგეთის ბაზარი ყველაზე ძვირია“; „ჩვენს შემოსავალი სად მიდის, ვერ გაიგებ. ისეთი ძვირია ყველაფერი, ლამის მშვირები დავრჩით. ხორცს, ყველს... საერთოდ ვეღარ ვყიდულობთ“ — აცხადებენ მომხმარებლები.

როგორც სავაჭრო უწყებებში გვეუბნებიან, ფასების მატება შეინიშნება რძის პროდუქტებშიც და გაყინულ ნახევარფაბრიკატებზე, გაძვირებულია ძეხვეული და ბურღულეული, თითქმის გასამაგებელია ფასები მწვანილზე.

## „ხორცს და ყველს ვინ ჩივის, ბოსტნეულსაც ვეღარ ვყიდვობთ“

„სამი დღეა, როგორც დავალაგე პროდუქტი დახლზე, ისე დევს. შემცირებულია ვაჭრობა“, — გვეუბნება მზევინარ ნაკაშიძე.

პირველადი მოხმარების პროდუქტებზე ფასების მკვეთრი ზრდა ერთნაირად შემანუხებელი აღმოჩნდა მყიდველისა და გამყიდველისთვის. პირველს ის ანუხებს, რომ საჭიროების საგნებზე უარისთქმა უფულობის გამო უნევს, მეორე კი თავის პროდუქციას ვეღარ ასალებს. „მყიდველი აღარაა, ვეღარ ყიდულობს ხალხი პროდუქტს“, — ნუხს ლიდა გოგუაძე.

თუ დღეს ოზურგეთის ბაზარში არსებული ფასებიდან გამოვალთ, გამოდის, რომ მხოლოდ პენსიაზე დამოკიდებული ერთი პენსიონერი, თვის განმავლობაში მხოლოდ პურის, შაქრის, ყოველდღიური სადილისთვის ბოსტნეულის და მწვანილების ყიდვას შეძლებს, თვეში ერთხელ მოახერხებს ხორცისა და რძის პროდუქტის შეძენას, ასევე თვეში ერთხელ ექნება ჰიგიენური საშუალებების ყიდვის შესაძლებლობა, საჭიროების შემთხვევაში, ვერ მოახერხებს მედიკამენტის შეძენას. ვერ გადაიხდის ყოველთვიურ გადასახადებს და ვერ შეძლებს ზამთარში გათბობას. არაფერს ვამბობთ იმ ოჯახებზე, სადაც რამდენიმე სული მხოლოდ ერთი პენსიონერის იმედად ცხოვრობს.

„პროდუქტი გაძვირდა, ნამალიც... პენსია სახელად არის დიდი, თორემ არაფერში გვეყოფნის. მთელი ცხოვრება შრომაში გავატარე. მეგონა მოხუცებულობა მექნებოდა უზრუნველყოფილი და არაა ასე, შვილებს საშუალება არ აქვს და შვილიშვილებს რა უნდა ჰქონდეთ“, — გვიამბობს ნატო სამსონია.

მაშინ, როცა ქვეყანაში, ათასობით ადამიანი უკიდურეს სიღარიბეს ებრძვის, როცა ბევრისთვის საკვებიც სანატრელია და გროშებისთვის მეზობელ ქვეყნებში შავ მუშებზე იხიზნებიან. ხელისუფლებამ ხალხის ოცნებების ასრულება საკუთარი ხელფასების გაზრდით დაიწყო. ამას კი, კორუფციასთან ბრძოლის მთავარ მოტივად ხსნიან. „მათ უნდა ჰქონდეთ ადეკვატური და მაღალი სარგო, რაც გამორიცხავს სხვა მავნე და უკანონო საქციელს“, — გვიხსნის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე არჩილ ყაზაიშვილი.

ხელისუფლება უკანონობის პრევენციის მიზნით, მაღალ სარგოს ინიშნავს, მოსახლეობა კი გაძვირებულ ცხოვრებას უჩივის და მინიმალური შემოსავლებით გაორმაგებულ ფასებთან გამკლავება უჭირს.



## შსს-ს გენერალურმა ინსპექციამ ნაკოვანაშაულისთვის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომელი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, „სარფის“ სასაზღვრო გამშვები პუნქტის მიმდებარე ტერიტორიაზე, შსს-ს ანტიკორუფციული სააგენტოს აჭარის ა/რ რეგიონალური მთავარი სამმართველოს პირველი სამსახურის (ბათუმი, ქობულეთი, ხელვაჩაური) უფროსი ოპერატიული თანამშრომელი, პოლიციის უფროსი ლეიტენანტი გ. მ. ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვის ფაქტზე დააკავეს.

გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა დაკავებული პირადი ჩხრეკისას 5 აბი ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს. დაკავებული პოლიციელი აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც სასჯელის სახით თერთმეტ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს). გამოძიებას შს სამინისტროს გენერალური ინსპექცია აწარმოებს.

„ვერსიანიუსი“

# „ჩკინის კეთილი ღაღის“ მორიგი ნარმატება

## რაცომ გაუხსნეს ვარსკვლავი ნაცადია კვანცდიანს და რა სიხლებია „ნარმატებულ ახად ქართულ ბრენდად“ ალიარებულ სისხლის ბანკში



ენიმო ლურსმანაშვილი  
593-51-52-04

„სისხლის დეფიციტის გამო, საქართველოში არც ერთი ადამიანის სიცოცხლეს არ უნდა შეექმნას საფრთხე!“ — ამ დევიზით დაიწყო, თავის დროზე, ნატალია კვანცდიანი სისხლის ბანკის მშენებლობა და მოკლე დროში, თავისივე სახელობის, თანამედროვე სტანდარტების სისხლის ბანკი შექმნა, სადაც 100 ადამიანი დაასაქმა. არსებობის მანძილზე, „ნატალია კვანცდიანის სახელობის სისხლის ცენტრალურმა ბანკმა“ უკვე არაერთი სიგელი, მადლობის წერილი და ჯილდო მიიღო. ერთ-ერთი ბოლო ნარმატება კი, დეკემბრის ბოლოს, ნაციონალური ბრენდების დაჯილდოების მე-12 ცერემონიაში გამარჯვება იყო — ქართულ ბრენდის დღეს, რამდენიმეთვიანი კვლევების შედეგად შედგენილი ნარმატებული ეროვნული კომპანიების სიაში, ქალბატონი ნატო სისხლის ბანკიც მოხვდა, ნომინაციით „ნარმატებული ახალი ქართული ბრენდი“.

სისხლის ბანკი, რამდენიმე ათეული კომპანიიდან ერთ-ერთია, რომელსაც ბიზნესის მეცნიერებთა აკადემიის ყველაზე ახალგაზრდა აკადემიკოსი, სხვადასხვა ბიზნესსაკონსულტაციო ორგანიზაციის მიერ არაერთხელ „წლის ბიზნესმენად“ აღიარებული ნატალია კვანცდიანი ნარმატებით უძღვება; მეტიც, ეს ის სფეროა, რომელსაც ქალბატონი ნატო დღეს ყველაზე დიდ დროსა და ენერჯიას უთმობს. „გული და გონება თანხვედრაშია და ბიზნესის კეთების 25-წლიანმა გამოცდილებამ, ისეთი ინტუიცია გამომიშუშავა, ზუსტად ვხვდები, როდის ღირს გარისკვა“, — ნარმატების მიზეზებზე ამგვარად საუბრობს ბიზნესმენი და გვიმხელს, რომ დასახული მიზნის მიღწევაში ყოველთვის ეხმარება პროფესიონალი კადრები, გუნდი, რომლისთვისაც „ნატალია კვანცდიანის სახელობის სისხლის ცენტრალურ ბანკში“ ოჯახური გარემო შექმნა — თითოეული თანამშრომლის ტკივილი ჩემი ტკივილია, მათთან უშუალო დამოკიდებულება მაქვსო, — აცხადებს და ამ ფონზე, გასაკვირიც აღარაა, რომ მას თანამშრომლებმა „იმედი და რწმენა“ უნოდეს და საახალწლოდ, უპრეცედენტო სიურპრიზიც გაუკეთეს — სისხლის ბანკში ნატალია კვანცდიანს ვარსკვლავი გაუხსნეს.

გვასიამოვნოს და შესაბამისად, ჩვენც გვიჩვენება სურვილი, მის მიმართ სიყვარული გამოვხატოთ. ვარსკვლავის გახსნაც, ამ სიყვარულის გამოხატვის ერთ-ერთი ფორმა იყო“.

კიდევ ერთ მთავარ დამსახურებად, თანამშრომლები იმას მიიჩნევენ, რომ „ნატალია კვანცდიანის სახელობის ცენტრალური სისხლის ბანკის“ ხელმძღვანელის მთავარი მიზანი, კლინიკებისთვის უმაღლესი ხარისხის სისხლის მიწოდებაა. ამის მისაღწევად, ბანკში ყველა თანამედროვე მეთოდი დაინერგა — დონორი, სისხლის ჩაბარებამდე, მკაცრ სამედიცინო შემოწმებას გადის. ჩაბარებული სისხლი კი, უმაღლესი, ე.წ. მეოთხე თაობის ტესტებით მონტაჟდება, რაც ცდომილებას აბსოლუტურად გამორიცხავს. ეს ნიშნავს, რომ ამ ბანკიდან გატანილი სისხლი პაციენტის ჯანმრთელობას არ შეუქმნის, რაც წლების წინ, საქართველოში, სამწუხაროდ, არაერთხელ მომხდარა. „პასუხს ვაგებ, ჩვენი ბანკიდან გასული სისხლი უმაღლესი ხარისხისა და უსაფრთხოა“, — ამბობს „ვერსიასთან“ საუბრისას ნატალია კვანცდიანი და გვიმხელს, რომ ბანკი მის სახელს სწორედ ამიტომ ატარებს — ქვეყანაში არსებული არაერთი სისხლის ბანკის ფონზე, რაიმე უზუსტობის შემთხვევაში, არავის მიეცეს საშუალება, თითი „ნატალია კვანცდიანის სახელობის ცენტრალური სისხლის ბანკისკენ“ გაიშვოს.

— სისხლის ბანკს სათავეში 2010 წლიდან ჩავუდექი. ვერ წარმოიდგენთ, აქ რამდენიმეჯერ დამხვდა: ურემონტო, დან-



გრეული ოთახები, ანტისანიტარია... საქართველოს სისხლის ბანკს, წლების განმავლობაში არანაირი სარეაბილიტაციო სამუშაოები არ ჩატარებია. თანამშრომლებს უმძიმეს პირობებში უწევდათ მუშაობა. სისხლის ეროვნულ ბანკში ჩვენი შემოსვლის შემდეგ, შენობას ჩაუტარდა ევროსტანდარტის შესაბამისი რეკონსტრუქცია. თანამშრომლებს ბევრად უკეთესი პირობები შევთავაზეთ. გავზარდეთ ხელფასები, შემოვიღეთ პრემიები... დღეს, როგორც ადამიანს, ქალს, ამ ქვეყნის მოქალაქეს, ნამდვილად მეამაყება, რომ ამ საქმეში ჩემი როლი შევასრულე. თანაც ძალიან ნარმატებულად — წარმოიდგინეთ, აქ რომ მოვედი, ბანკს 500 დონორი ჰყავდა. დღეს კი, 4 წლის-თავზე, რეკორდულ მაჩვენებელს მივალწივ — 16 ათასი დონორი გვყავს და მათი რიცხვი დღითიდღე იზრდება. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან თითოეული დონორის უკან, თითო ადამიანის სიცოცხლე დგას. ჩვენ დღეს მივიღეთ თანამედროვე სტანდარტების სისხლის ბანკი, რომელიც ყველა გამოწვევას პირნათლად უმკლავდება და დღეს, საქართველოში, პაციენტებსა თუ ექიმებს, აღარ უნდა ეწინოდეთ აღარც სისხლის რაოდენობისა და აღარც სისხლის ხარისხის გამო. არადა, წლების წინ, სისხლის შოვნა ჩვენ ქვეყანაში პრობლემა იყო. ამ პრობლემის წინაშე მეც დავდექი, როცა დედა ავად გაიხდა და სწორედ მაშინ გამიჩნდა სურვილი, სისხლის ბანკი გამეკეთებინა. თუ იშოვიდი, არ იცოდი, როგორ სისხლს უსხამდი პაციენტს. სამწუხაროდ, ბევრი ისეთი შემთხვევაც გვახსოვს, როცა გარჩევა ჭირდა, ადამიანის სიცოცხლე საფრთხეში არასწორმა ოპერაციამ ჩააგდო თუ გადასხმულმა, დაბინძურებულმა სისხლმა. მეამაყება, რომ ამ მხრივ, ჩვენ სისხლის ბანკთან

დაკავშირებით, კითხვები არ არსებობს. მეამაყება ისიც, რომ მარტო აქ, 100 მოქალაქე დავასაქმე და მომავალშიც არაერთ ადამიანს გადავუჭრით უმუშევრობის პრობლემას, რადგან ახალი კადრების მოზიდვა და დატრენინგება კვლავ გეგმიანია. ჩემი მიზანია, საქართველოში სისხლის დეფიციტი არ იყოს და ყველა იმ ადამიანს მივესალმები, ვინც ამ საქმეს ემსახურება. ამიტომ, სხვა სისხლის ბანკებს, კონკურენტებად არ აღვიქვამ — ჩვენი ნიშა, უკვე დავიკავეთ. საქართველოს მასშტაბით, 80-მდე საავადმყოფოს ვწვდით სისხლს. რაც მეტი ადამიანი მოემსახურება ამ საქმეს, რაც მეტი სისხლის ბანკი იქნება ქვეყანაში, მით უკეთესი. მთავარია, ყველამ აგოს პასუხი სისხლის ხარისხზე ისე, როგორც მე ვაგებ პასუხს.

— ქალბატონო ნატო, ბაზარზე თქვენი სისხლის ბანკი, თავიდან სხვა სახელწოდების გამო შემოვიდა, დღეს კი, თქვენ სახელს ატარებს. ეს ნაბიჯი, სწორედ ამ პასუხისმგებლობის გამო ხომ არ გადადგი?

— დიახ. ასე გადაწყვიტეთ იმიტომ, რომ ბევრჯერ მოხდა გაუგებრობა და უსამართლოდ გამოიშვირეს ხელი ჩვენსკენ. შესაბამისად, იძულებული ვავხდით, ჩვენ სისხლზე სახელწოდებიდან დაწყებული ვაგოთ პასუხი. სახელის შეცვლისას, ვფიქრობდი, უხერხულობა ხომ არ შეიქმნებოდა, რადგან მედიცინის მუშაკი არ ვარ, მაგრამ... ნებისმიერი საქმის დაწყებამდე, მას ძირფესვიანად ვსწავლობ. სისხლის ბანკის გახსნამდეც, კომპეტენტური ადამიანები მოვიწვიე. ისრაელის გამოცდილება დამეხმარა — ერთი წელი მყავდა იქაური სპეციალისტი. ურთიერთობა მქონდა იქაური სისხლის ბანკებთანაც, რაც ძალიან ნამადგა ამ საქმის ასეობაში. საბოლოოდ, თანამედროვე სტანდარტის სისხლის ბანკი შევქმენი. ისეთი, როგორცაა ცნობილი, როცა საქმე ევროინტეგრაციას ეხება. ამ ფონზე, ნამდვილად საამაყოა, რომ წლის ბრენდის დაჯილდოებაზეც მივიღეთ ჯილდო და ხელისუფლების დამოკიდებულება ჩვენ მიმართ, დადებითია. მადლობა ჯანდაცვის სამინისტროს, ინვესტიციებისა თუ უცხოელი სტუმრების მასპინძლობისას, ხშირად რომ გვსტუმრობენ და ჩვენი სისხლის ბანკი სავიზიტო ბარათად იქცა. უფლის წყალობით, ამ სფეროში ლიდერები ვართ.

— საიზიზიო ბარათად ქცეულ სისხლის ბანკში მოსულ სტუმრებს, ამიერიდან, ნატალია კვანცდიანის სახელობის ვარსკვლავიც დახვდებათ. როგორი რეაქცია გქონდათ, როცა თანამშრომლებმა ორიგინალური სიურპრიზი გაგიკეთეს?

— ყველა თანამშრომელი ჩემი მეგობარია. ჩემი გუნდის დამსახურებაა, ამხელა საქმე, ასე მოკლე დროში რომ ავაწყვე და დღემდე ვავითარებ. ჩვენ ერთი დიდი ოჯახი ვართ და მართლა ისეთი ურთიერთობა გვაქვს, როგორც ოჯახის წევრებს. თანამშრომლებმა სიგელიც გადმომცეს, სადაც „იმედი და რწმენა“ მინოდეს. აგერ, კაბინეტში, სამუშაო მაგიდის პირდაპირ მიკიდა, სულ მახსოვს ეს ადამიანები. ვარსკვლავი რომ გამიხსნეს, სიხარულისგან ცრემლიც მომადგა. ასეთი საოცარი გრძობა, არ განმიცდია. ცოტა უხერხულია, საკუთარ თავზე საუბარი, მაგრამ... როგორც ვიცი, ამ სიურპრიზის გაკეთების მიზეზი მხოლოდ ჩვენი ურთიერთობები არაა. იდეა მას შემდეგ დაიბადა, რაც საახალწლოდ საქველმოქმედო აქციები ჩავატარე. ეს ჩემთვის უკვე ტრადიციია — 25 წელია ბიზნესში ვარ და ქველმოქმედებაზე უარი არასოდეს მითქვამს. თავიდან, მზრუნველობამოკლებულ 20 ბავშვს ვუკეთებდი საჩუქრებს. ჩემი ბიზნესისა და კომპანიების განვითარების პარალელურად კი, მათი რიცხვიც იზრდებოდა. წელსაც, ჩაკვიდე ჩემ შვილიშვილებს ხელი და დაახლოებით 300 მზრუნველობამოკლებულ ბავშვსა თუ სოციალურად დაუცველს მივუკაქუნეთ საახალწლო საჩუქრებით ხელში. ამას ისიც დაუმატეთ, რომ სისხლის ბანკში, ვცდილობ, თანამშრომლებს საუცხოო პირობები შევუქმნა. წარმოიდგინეთ, აქ მუშაობენ ძველი თანამშრომლები. ისეთები, რომლებსაც ახსოვთ, ლაბორატორიაში, სინჯის კეთებისას, ვირთხები რომ დაახტათ თავზე. დღეს კი, აბსოლუტურად განსხვავებულ გარემოში, პირობებში უწევთ მუშაობა. პარალელურად, როგორც გითხარით, ხელფასებიც გავზარდეთ. ეს ყველაფერი დაინახეს თანამშრომლებმა და დააფასვეს.

— ყოველთვის ასე არ ხდება. ხელმძღვანელის კეთილგანწყობასაც არცთუ იშვიათად იყენებენ ხოლმე ბოროტად. თანამშრომლების შერჩევის რაიმე განსაკუთრებული მეთოდი გაქვთ?

— ზოგადად, ადამიანებთან ურთიერთობაში მხოლოდ ღირებულებებს ვაქცევ ყურადღებას. სხვა კუთხით, არ მეგობრები შემირჩევიან არასოდეს და არც თანამშრომლები. სიკეთის კეთებისას, საპასუხო ნაბიჯებს არ ველოდები, მაგრამ სასიამოვნოა, როცა ადამიანები ხედავენ და ცდილობენ, გასიამოვნონ. სიმართლე გითხრათ, ადამიანებში იშვიათად ვცდები. ეს ალბათ ინტუიციის ბრალია — 25 წელი ბიზნესში, არ არის პატარა დრო. ამ ხნის მანძილზე, ჩემს გუნდთან ერთად, ბევრი გამოცდა ჩავატარე. სხვა თუ არაფერი, ბოლო წლებში, 27 უწყება მომივიდა. ყველა ჯერზე ვიყავი მისული და სამართალდამცავებს, ყველა კიტხვავ პასუხი გავეცი. გაგებით მოვეკიდე ყველაფერს — ადამიანებს კითხვები არ უნდა დაუტოვო. ერთხელ წყობიდანაც გამოვედი. 3 უწყება ერთად მოვიდა. ვამბობდი, დრო მაინც შეათანხმეთ და სამივე უწყებაში მოვალ, პრობლემა არ მაქვს-თქო და ასეც მოვიქეცი. იცით, ამის მერე რა შემაქვს? — „ჩკინის კეთილი ღაღის“. ხომ იცით, პირველი მილიონი საიდან მაქვს, არ მკითხო, დანარჩენს გეტყვიო. არც ერთის წარმომავლობაზე ლაპარაკის არ მემინია.

დასასრული მე-9 გვერდზე



# დაბა ლიკანში ხუთპარსკვლავიანი „რიქსოს ბორჯომი“ გაიხსნა

საპარტნიორო ფონდმა და ყაზახურმა კომპანია „ყაზმუნაიგაზმა“, ერთობლივი პროექტი განახორციელეს და სასტუმრო კომპლექსი — „რიქსოს ბორჯომი“ გახსნეს. ხუთვარსკვლავიანი, უმაღლესი კლასის სასტუმრო დაბა ლიკანში, ე.წ. მეოთხე სამმართველოს ტერიტორიაზე მდებარეობს. გახსნის ცერემონიას პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილი, ვიცე-პრემიერები, მთავრობის, პარლამენტისა და ბიზნესის წარმომადგენლები დაესწრნენ.

ირაკლი ლარიბაშვილის განცხადებით, ლიკანში მნიშვნელოვანი, ქართულ-ყაზახური ერთობლივი პროექტი განხორციელდა: „ამ პროექტით რეგიონს ხუთვარსკვლავიანი, სრულყოფილი სასტუმრო შეემატა, რომელიც უკვე დაჯავშნილია“.

საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა ირაკლი კოჭუხაძემ გამოსვლისას აღნიშნა, რომ ტურისტულ ბაზარზე დაბრუნდა კურორტი, რომელიც პოპულარული და ერთ-ერთი გამორჩეული, დასასვენებელი ადგილი იყო: „სასტუმრო ახალ სამუშაო ადგილებს შექმნის. რაც მთავარია, რეგიონის ეკონომიკურ და ტურისტულ ცხოვრებასაც გამოაცოცხლებს“.

ვიცე-პრემიერმა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, ბიორგი კვიციანიამ აღნიშნა, რომ ლიკანში სასტუმრო „რიქსოს ბორჯომის“ გახსნა მნიშვნელოვანია, რადგან სასტუმროების ცნობილი ბრენდის საქართველოში შემოსვლით, ქვეყანაში სერვისის საერთაშორისო სტანდარტზე დამკვიდრდება: „მნიშვნელოვანია, რომ ყაზახი ინვესტორები სრული მასშტაბით ბრუნდებიან საქართველოში და მინდა მათ განსაკუთრებული მადლობა გადაუხადო. რა თქმა უნდა, ამ სასტუმროს გახსნა ხელს შეუწყობს მიმდებარე ინფრასტრუქტურისა და სხვა მცირე საწარმოების განვითარებას“.

სასტუმროში 151 ნომერია, მათ შორის, სტანდარტული, ლუქსისა და საპრემიუმის. კომპლექსი აერთიანებს რესტორანს, კაფე-ბარებს, საკონფერენციო დარბაზებს, გოლფისა და ფეხბურთის სათამაშო მოედნებს, სპა-ცენტრს, საცურაო აუზს, ბავშვთა გასართობ ცენტრ „რიქსი ქლაბსა“ და დამხმარე ნაგებობებს. სასტუმროს ოპერირებას სასტუმროების ცნობილი ქსელი „რიქსოსი“ განახორციელებს, რომელიც ამ



## საპარტნიორო ფონდის და „ყაზმუნაიგაზის“ ერთობლივი პროექტი 48 000 000 აშშ დოლარი დაჯდა

პროექტის საშუალებით, საქართველოში პირველად შემოვიდა. ამჟამად, „რიქსოს ბორჯომში“ 200 ადამიანია დასაქმებული, მაგრამ პერსონალის ზრდა მომავალშიც იგეგმება.

კომპლექსი აშენდა საპარტნიორო ფონდისა და ყაზახური კომპანია „ყაზმუნაიგაზის“ ერთობლივი ინვესტიციით. პროექტის ჯამური ღირებულება 48 000 000 აშშ დოლარია. საპარტნიორო ფონდის თანამონაწილეობა პროექტში კაპიტალის 50%-ია. სასტუმროს მშენებლობა 2006 წელს დაიწყო. ფინანსური სტრუქტურის არარსებობის გამო, 2012 წლის მეორე ნახევარში სამშენებლო პროცესი თითქმის შეჩერდა. 2013 წლის გაზაფხულზე, საპარტნიორო ფონდის მენეჯმენტმა ყაზახურ მხარესთან მოლაპარაკება განაახლა. პროექტის კონცეფციის დახვეწის, მისი მასშტაბის სრულყოფისა და

შესაბამისი დაფინანსების მოპოვებაზე, ფონდმა მოახერხა და ახალ შეთანხმებას მიაღწია.

სააქციო საზოგადოება საპარტნიორო ფონდი, საქართველოს მთავრობის მიერ, 2011 წელს დაარსდა, სადაც სახელმწიფო ფონდის 100%-ს ფლობს. საპარტნიორო ფონდის აქტივები 5 მილიარდ ლარს აჭარბებს. ფონდი ფლობს „საქართველოს რკინიგზის“, „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“, „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“, ელექტროსისტემების კომერციული ოპერატორისა და ნაწილობრივ, „თელასის“ აქტივებს. საინვესტიციო მიმართულებებთან ერთად, ფონდის ერთ-ერთი, მთავარი ამოცანა სახელმწიფო სტრატეგიული აქტივების სწორი კორპორატიული მართვაა.

მაია მიშელაძე

## ბიზნესი

### მე-მ გვერდიდან

— პასუხგაუცემელ კითხვებს ჟურნალისტებსაც არასოდეს უტოვებთ. როგორ ახერხებთ, ყოველთვის გამონახოთ დრო მეოთხე ხელისუფლების წარმომადგენლებთან შესახვედრად?

— ყოფილი სპორტსმენი ვარ და ჩემ რაიონში სპორტული ჟურნალისტიც ვიყავი, რადიოში. თქვენ პროფესიას უდიდეს პატივს ვცემ. ბევრმა გამაკრიტიკა კიდეც, დამწყებ ჟურნალისტებსაც რატომ ხვდებით. ჩემი პასუხია ასეთი — პირველი ინტერვიუ თუ არ ჩანერა, ცნობილი როგორ გახდება-მეთქი? ჟურნალისტებთან შეხვედრა დისკომფორტს არასოდეს მიქმნის. არც ერთ კითხვას არ გაურბივარ, რადგან ყოველთვის გულწრფელი ვარ და სიმართლეს ვამბობ. ბოროტება არაა ჩემში და ესაა მთავარი ზოგადად, ადამიანებთან ურთიერთობისას.

— ამბობენ, უბოროტო ადამიანები გარეგნულად ყოველთვის კარგად გამოიყურებიანო, მაგრამ თან ამდენ კომპანიას უხელმძღვანელო და თან ყოველთვის შესაშურ ფორმაში იყო, ალბათ არაა ადვილი...

— ყოფილი სპორტსმენი ვარ და დღემდე ვცდილობ, ფიზიკურად დავიტვირთო. როგორც კი საშუალება მაქვს, ვცურავ... ახლახან მთაში, თხილამურებზე ისევ გამოვცაადე თავი... სპორტი და ცხოვრების ჯანსაღი წესი, ყოველთვის მეხმარება, ფორმაში ვიყო.



— ყოფილი სპორტსმენი, ამ მიმართულებითაც ხომ არ გეგმავთ, რაიმე ბიზნესის წამოწყებას?

— სამკურნალო სამედიცინო სფეროზე ვფიქრობ. გეგმა ბევრი მაქვს, რასაც საზოგადოება ეტაპობრივად გაიგებს.

— სისხლის ბანკის შენობაში, სამშობიაროს გახსნას ხომ აპირებდით?

— ვაპირებთ კიდეც. სამშენებლო სამუშაოები მალე დასრულდება. ამ წელს აუცილებლად გავხსნი საზეიმო ვითარებაში ნათელა პატარკაცივილიან ერთად, რომლის სახელიც ფიგურირებს ამ პროექტში. ჩემი და ქალბატონი ნათელას ურთიერთობები დედაშვილობაზეა დაფუძნებული და ამიტომ, კომპანიასაც სწორედ „დედაშვილობა“ ჰქვია.

— ხელისუფლებამ 2015 წელი „C ჰეპატიტის წინააღმდეგ ბრძოლის წლად“ გამოაცხადა. თქვენი სისხლის ბანკი თუა ამ კამპანიაში რაიმე ფორმით ჩართული?

— უკვე ვესაუბრე მთავრობის წარმომადგენლებს. მზად ვართ, ამ კამპანიაში ჩავეერთო, მხარდაჭერა გამოვუცხადო ხელისუფლებას ამ საქმეში და იმ ადამიანებს, ვინც სასჯელის დასრულების დასრულებულ მუშაობენ და პატიმრებთან მუდმივი კონტაქტი აქვთ, ჩვენს ლაბორატორიაში, რომელიც ISO სერტიფიკატს ფლობს, უფასო გამოკვლევა ჩაუტაროთ.

— ფოიეში განცხადება გააკრული — სისხლის ჩაბარების თანხა გაგიზრდით 35 ლარამდე. ეს დონორების მოზიდვის ახალი მეტოდია?

— სამწუხაროდ, ჩვენ არ ვართ განებივრებული უანგარო დონორებით. საზღვარგარეთ მიღებულია უფასო დონორები, თუმცა ჩვენ დონორს ფულს ვუხდით და სისხლის შექ-

ნა გვიხდება. დაახლოებით 400 მგ სისხლში უკვე 35 ლარის გადახდა გვინევს. დონორობა, პირველ რიგში, მორალური კმაყოფილებაა — სისხლის ჩაბარებით უმძიმეს ავადმყოფს ეხმარები. გარდა ამისა, სისხლის გაღობით ორგანიზმის სისხლმზადი ორგანოების სტიმულირება ხდება, ანუ სისხლის ახალი უჯრედები წარმოიქმნება და, შესაბამისად, დონორები იშვიათად ავადდებიან. ერთი შეხედვით, ეს საკმარისია იმისთვის, უანგარო დონორი გახდე, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენ ქვეყანაში არსებული სოციალური ფონიდან, გაჭირვებიდან გამომდინარე, სისხლის ჩასაბარებლად მოსულ ადამიანებს, ფინანსური დაინტერესება აქვთ. ამ ფონზე, გულწრფელად გეტყვი, ის 10-15 ლარი, რომელიც აქ იყო დაწესებული, მათთვის სულში ჩაფურთხებად მიმაჩნდა და გადავწყვიტე, რაღაც ეკონომიის, სხვაგვარი გათვლების საშუალებით, ეს თანხა გამეზარდა. დღეს, სისხლის ერთხელ გაღობისას, დონორი 35 ლარს იღებს, მაგრამ მისი სარგებელი გაცილებით დიდია — მას ჩვენთან უტარდება უფასო სამედიცინო გამოკვლევა. ანალიზის შედეგებს ვაძლევთ და ადამიანს, საბოლოოდ, 170 ლარის ღირებულების სერვისს ვთავაზობთ უსასყიდლოდ. ფინანსური დაინტერესება აქვს ასევე თითოეულს, ვინც 5-10 ადამიანის ორგანიზმს მოახდენს და სისხლის ჩასაბარებლად მოიყვანს — ნათქვამი მაქვს, რომ ასეთ პირს, უანგარო დონორის მოზიდვისთვის, ანაზღაურება მიეცემა, ცხადია, კანონის შესაბამისად. მოკლედ, ყველა პირობას ვქმნი იმისთვის, ადამიანებმა სისხლი გაიღონ და დაეხმარონ ყველას, ვისაც სისხლი სჭირდება. ჩვენი ბანკის დევიზიც ხომ ესაა — „სისხლი ყველას!“







ადვილი

სტანდარტი

რთული

ექსპერტი

			9	5	2	4		
5	7	3						6
			8					
3				7	6		4	
	5					2		
8		4	2					7
				8				
1					8	5	2	
	8	5	9	3				

			6		9		1	
		3						
			4	2			6	
	2	9					6	
3		8		1		7		9
	4					3	5	
8		2	4					
					7			
7	5		9					

4		1	8				3	
3					7			
			9			2	8	
					9	8		
6		5		3		7		
2	1							
6	1			5				
		5					6	
4			7	1		9		

		7		1				5
5			2	8		4		6
			3					
3					6	7	4	
	6					1		
	7	4	1					2
					2			
6		3		4	1			9
	4			3		8		

# უსახლკაროებს სახლები „დაუბეჭდას“

ჩინეთში, სადაც უსახლკაროების პრობლემა მეტად მწვავედ დგას, სპეციალისტებმა სწრაფი და იაფი მეთოდი მოძებნეს მათი საცხოვრებელი დასაკმაყოფილებლად, ამავე დროულად, ნარჩენების პრობლემასაც აგვარებენ. სამშენებლო 3D-პრინტერის მეშვეობით, ჩინურმა კომპანიამ ერთ დღეში ათი მცირე ზომის სახლი დაბეჭდა. მართალია, ისინი არ გამოირჩევა ესთეტიკურობით, მაგრამ სამაგიეროდ, 5 ათას დოლარზე მეტი არ ჯდება და თანაც სამშენებლო ნაგვისგან „ბეჭდავენ“. მიღწეულმა შედეგმა უკვე უბიძგა კომპანიას, ასამდე ასეთი კომპლექსი დაამზადოს სამგამზომილებიანი პრინტერის მეშვეობით. ამით „კომუნალური საკითხის“ პრობლემასაც მოაგვარებენ, ნაგვისგანაც გათავისუფლებიან და ახალ სამუშაო ადგილებსაც შექმნიან.



# ცხვირით საბურავებს ბერავს

ხანშიშესულმა მამაკაცმა ცხვირით საბურავების გაბერვა ისწავლა. ჩანს, 63 წლის ნიი იონგინგს არაჩვეულებრივი ფილტვები აქვს. საკუთარი შესაძლებლობების დემონსტრაცია ჩინელმა მამაკაცმა ქალაქ ჩენდუში მოახდინა — მან ერთდროულად სატვირთო ავტომანქანის ოთხი საბურავი გაბერა, ამ დროს კი ყოველ მათგანზე უფროსი ასაკის ადამიანები იდგნენ. ხანშიშესული რეკორდსმენი კამერების გაბერვამ სამი წლის წინ გაიტაცა, როცა ექიმებმა ბუჭების გაბერვა ურჩიეს. მედიკოსების თქმით, ამ პროცესს იონგინგისთვის განწყობა უნდა გაეუმჯობესებინა. თუმცა, მამაკაცმა შეთავაზებული მეთოდი მეტად მარტივად მიიჩნია და მალე ავტომანქანების საბურავების გაბერვაზე გადაერთო.



# მაგნიტი ჰმოლუქვს ამ გაეაფუჭებინებთ

ადამიანები ხშირად ვერ ამჩნევენ, როდის იწყებს გაფუჭებას პროდუქტი მაცივარში. ზოგი ისეთი დაკავებულია, საკვების ვარგისიანობის ვადასაც არ ამოწმებს. ნაგავში გადაყრილი პროდუქტის შესამცირებლად, იაპონელმა დიზაინერებმა უნიკალური მაგნიტი შექმნეს მაცივრისთვის, რომელიც QR-კოდის სკანირებას ახდენს. QR Fridge Magnet მცირე ზომის ინტერაქტიული მაგნიტია ტექსტით და ნახატებით, რომელიც მაცივარში არსებული საკვები პროდუქტის ვარგისიანობის ვადას ადევნებს თვალყურს — სკანირებისა და ტაიმერის ჩართვის შემდეგ მაგნიტი აუცილებლად მაცივარზე უნდა დაამაგროთ: დროდადრო ის ფერს შეიცვლის და მოხმარებულს საჭმლის ვარგისიანობის დონეზე ინფორმაციას მიანვდის. მწვანე ფერი ნიშნავს, რომ პროდუქტი ჯერ კიდევ ახალია, ნარინჯისფერი მიანიშნებს, რომ ვარგისიანობის ვადა იწურება, წითელი კი გაცნობობთ, რომ პროდუქტი გაფუჭებულია და საჭმელად აღარ გამოგადგებათ. მოწყობილობის სიმარტივიდან გამომდინარე, მას ბავშვებაც ადვილად მოხმარებენ, ნაიკითხავენ მაგნიტზე ინფორმაციას და უსაფრთხო პროდუქტს დამოუკიდებლად გამოიყენებენ. ცნობილია, რომ QR Fridge Magnet ამ მომენტისთვის მხოლოდ კონცეპტის სტადიაზეა.

# ნინა ნოზარაძე გასული სკანოკრდისა და სარჩაი პასაჟი

ადვილი

7	6	5	9	3	1	2	8	4
1	4	2	8	5	7	6	9	3
9	8	3	2	4	6	5	1	7
5	2	4	6	8	3	1	7	9
6	1	9	5	7	4	3	2	8
3	7	8	1	2	9	4	6	5
2	3	7	4	6	8	9	5	1
8	5	1	3	9	2	7	4	6
4	9	6	7	1	5	8	3	2

სტანდარტი

8	1	4	9	7	6	5	3	2
7	2	3	1	8	5	9	6	4
9	6	5	4	3	2	7	1	8
4	3	2	6	1	9	8	5	7
6	5	7	3	4	8	2	9	1
1	9	8	2	5	7	6	4	3
5	4	6	8	2	3	1	7	9
3	8	9	7	6	1	4	2	5
2	7	1	5	9	4	3	8	6

ადვილი

1	4	9	8	2	5	7	6	3
8	7	6	1	4	3	2	9	5
5	3	2	9	7	6	8	4	1
7	8	1	6	9	4	5	3	2
6	9	5	3	8	2	4	1	7
4	2	3	5	1	7	6	8	9
3	6	4	7	5	1	9	2	8
2	5	8	4	3	9	1	7	6
9	1	7	2	6	8	3	5	4

სტანდარტი

8	7	5	3	2	1	9	6	4
2	4	6	9	5	8	7	3	1
9	3	1	7	4	6	5	2	8
1	6	9	4	3	2	8	7	5
7	8	4	6	1	5	2	9	3
3	5	2	8	7	9	4	1	6
6	2	3	5	9	4	1	8	7
4	1	8	2	6	7	3	5	9
5	9	7	1	8	3	6	4	2

რთული

6	5	4	3	2	1	7	9	8
3	9	8	7	6	5	4	2	1
2	1	7	4	9	8	6	5	3
5	8	6	9	4	3	2	1	7
4	7	3	6	1	2	9	8	5
1	2	9	5	8	7	3	4	6
9	6	5	8	7	4	1	3	2
8	4	1	2	3	6	5	7	9
7	3	2	1	5	9	8	6	4

ექსპერტი

4	6	8	7	5	3	9	2	1
2	7	5	4	9	1	6	3	8
3	1	9	8	6	2	5	7	4
8	4	7	6	2	5	3	1	9
9	3	2	1	4	8	7	6	5
6	5	1	3	7	9	8	4	2
1	2	3	9	8	7	4	5	6
5	8	6	2	3	4	1	9	7
7	9	4	5	1	6	2	8	3

რთული

3	2	5	4	1	7	9	8	6
7	9	1	6	2	8	5	4	3
4	6	8	3	9	5	2	7	1
6	5	3	2	8	1	7	9	4
2	7	4	9	3	6	8	1	5
1	8	9	5	7	4	6	3	2
8	4	2	1	6	9	3	5	7
5	3	7	8	4	2	1	6	9
9	1	6	7	5	3	4	2	8

ექსპერტი

6	8	2	5	3	9	7	1	4
4	7	5	6	2	1	9	3	8
3	1	9	4	8	7	2	6	5
2	5	1	9	4	8	6	7	3
9	6	4	7	5	3	1	8	2
7	3	8	2	1	6	5	4	9
1	4	7	8	9	2	3	5	6
8	2	3	1	6	5	4	9	7
5	9	6	3	7	4	8	2	1

მე-10 გვერდი: 1. სარდალი; 2. ავიცენა; 3. დრეზინა; 4. ლოსი; 5. ექსტაზი; 6. ქალამანი; 7. ტამბაკი; 8. ზონა; 9. აიმაკი; 10. ნამიკრეფია; 11. გუინულები; 12. ისტერია; 13. ოდრა; 14. ალუმინი; 15. ირანი; 16. ტალავერი; 17. დისტოლა; 18. ვინეა; 19. ტაიმი; 20. არმაზი; 21. დიუნანი; 22. შტაბი; 23. თორი; 24. აცრა; 25. სკა; 26. მამაი; 27. არონი; 28. ოინა; 29. თისი რქა; 30. რეიტუზი; 31. ლიანა; 32. ბატი; 33. ხატია; 34. რიფი; 35. ნიცა; 36. ოლეგ; 37. კაკაპო; 38. რალი; 39. ავი; 40. „საბა“; 41. ნაი; 42. გურია; 43. სერენა; 44. აბი; 45. ატა; 46. ზერო; 47. იასპი; 48. რუკა; 49. ოლე; 50. არუ; 51. რიგა; 52. ლიფონავა; 53. კაა; 54. ქლორი; 55. პირანია; 56. სერ; 57. აზუა; 58. გნუ; 59. ბის; 60. ბინი; 61. ია; 62. არა; 63. ჰაე; 64. იპრი; 65. პაი.

მე-12 გვერდი: 1. ახტალა; 2. ხაჭაპური; 3. აჭქალა; 4. ანგარი; 5. ნიველირი; 6. ამო; 7. „ოპელი“; 8. ედემი; 9. ნაჭუჭი; 10. ავდარი; 11. ულაყი; 12. შტირია; 13. ანდა; 14. ილაკიონი; 15. მითი; 16. ფრე; 17. „ბლუ“; 18. ედისონი; 19. ამაღუ; 20. შტილი; 21. ასპინდა; 22. ტრალი; 23. ილო; 24. „გრემი“; 25. ბურმა; 26. ირი; 27. არაყი; 28. პრასი; 29. ავიტა; 30. ორომი; 31. გოგია; 32. გოპაკი; 33. აურა; 34. ლოცია; 35. კუჭი; 36. ბირდაბირი; 37. კაი; 38. კოლომბო; 39. ლეპორელი; 40. აკრა; 41. ალტი; 42. ეთნარქი; 43. აკაცია; 44. კანო; 45. ნოინი; 46. რადიკალი; 47. ნიცა; 48. ბულატი; 49. ტიტე; 50. ივდითი; 51. გო; 52. ალა; 53. ლალიძე; 54. იტილი; 55. ათაბაგი; 56. ლატარია; 57. ურნა; 58. ახო; 59. სოსელი; 60. „აიდა“; 61. კუნძი; 62. კოალა; 63. სტოა; 64. იდეა; 65. ოლა; 66. სოს; 67. ბუა; 68. ელა; 69. ბრნო; 70. რვა; 71. სან; 72. აია; 73. ერბო; 74. ქსენდი; 75. ლუი; 76. რინა; 77. დეილ; 78. ინიესტა; 79. ნიუ; 80. ელი; 81. თინუსი; 82. ამინ; 83. მოა; 84. ანა; 85. ნო.

